

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მანონი კურტანიძე

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

ქიმიის დეპარტამენტი

**შებრუნებული მიკროემულსიების მიკროგარემოს შესწავლა ულტრაიისფერი-
ხილული სპექტროსკოპული მეთოდით**

ს ა დ ო ქ ტ ო რ ო დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

წარმოდგენილი ქიმიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელები:

სადოქტორო პროგრამის კოორდინატორი:

ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი, საქართველოს

მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

შოთა სამსონია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი,

ასოცირებული პროფესორი

მარინა რუხაძე

თბილისი

2019

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Manoni Kurtanidze

Faculty of Exact and Natural Sciences

Chemistry Department

Thesis on the Theme:

**Study of the Microenvironment of Reverse Microemulsions
with UV-visible Spectroscopic Method**

Presented to Obtain Academic Degree of Doctor of Chemistry

Coordinator of Doctoral Program:

Doctor of Chemical Sciences, Professor,

Full Member of the Georgian National Academy of Sciences

Shota Samsonia

Scientific Supervisor:

Doctor of Chemical Sciences,

Associate Professor

Marina Rukhadze

Tbilisi

2019

ანოტაცია

შესწავლილია ანიონური ნატრიუმის ბის (2-ეთილჰექსილ) სულფოსუქცინატის და არაიონური ტეტრაეთილენგლიკოლ მონოდოდეცილის ეთერის საფუძველზე მომზადებული შებრუნებული მიცელების მიკროგარემო ულტრაიისფერი-ხილული სპექტროსკოპიის მეთოდით მოლეკულურ სინჯად ორთო-ნიტროანილინის გამოყენებით. შესწავლილია აგრეთვე შერეული შებრუნებული მიკროემულსიების სტრუქტურა ბიოლოგიური ზედაპირულად აქტიური ნივთიერების ნატრიუმის ქლატით მოდიფიცირების პირობებში.

გამოკვლეულია ზედაპირულად აქტიური ნივთიერებების კონცენტრაციის გავლენა ოპტიკური სინჯის აბსორბციულ ელექტრონულ სპექტრებზე. სპექტრულ ცვლილებებს იწვევს ო-ნიტროანილინის შეკავშირება შებრუნებული მიცელების პოლარულ თავურ ჯგუფებთან, რის გამოც ბატოქრომულ გადანაცვლებას აქვს ადგილი ჰექსანში გადაღებულ სპექტრებთან შედარებით. განსაზღვრულია ოპტიკური სინჯის შებრუნებულ მიცელებთან შეკავშირების კონსტანტები K_b კოსმოტროპული და ქაოტროპული იონური და არაიონური ბუნების დანამატების თანაობისას შებრუნებული მიცელების წყლის წვეთებში.

Summary

The microenvironment of water droplets of ionic sodium bis (2-ethylhexyl) sulfosuccinate and nonionic polyoxyethylene (4) lauryl ether reverse micelles was studied with an UV-visible spectroscopic method by using of o-nitroaniline as molecular probe. The structure of mixed reverse microemulsions in the presence of biosurfactant sodium cholate was also investigated. Binding of o-nitroaniline to the polar head groups of reverse micelles causes spectral changes, i.e. bathochromic shift take place if compare with spectra of optical probe in hexane. Influence of concentration of surfactant on the absorption electronic spectra of molecular probe was investigated. The binding constant K_b of optical probe o-nitroaniline to the reverse micelles was determined in the presence of kosmotropic and chaotropic ionic and nonionic additives in the water droplets of reverse micelles.

შინაარსი	83
1. შესავალი	7
2. ლიტერატურის მიმოხილვა	11
2.1. მიკროემულსიების ზოგადი მიმოხილვა	11
2.2. ზედაპირულად აქტიური ნივთიერებების მოლეკულები და შებრუნებული მიცელების სტრუქტურა.....	13
2.2.1. შებრუნებული მიცელების სტრუქტურული ასპექტები	13
2.2.2. შერეული მიკროემულსიები.....	16
2.2.3. ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები	19
2.3. მიცელების გულში ჩაჭერილი წყალი	20
2.3.1. ორგანული გამხსნელები, როგორც მიცელის „შემაწებელი“ აგენტები.....	23
2.4. შებრუნებული მიკროემულსიების შესწავლის ფიზიკურ-ქიმიური მეთოდები.	26
2.4.1. შებრუნებულ მიცელებში ჩაჭერილი წყლის სტრუქტურის კვლევა ინფრაწითელი სპექტროსკოპიული მეთოდით	26
2.4.2. შებრუნებულ მიცელებში ჩაჭერილი წყლის სტრუქტურის კვლევა ბირთვულ-მაგნიტურ რეზონანსული სპექტროსკოპიული მეთოდით.....	29
2.4.3. შებრუნებული მიცელების სტრუქტურის კვლევის კონდუქტომეტრიული მეთოდი	33
2.4.4. ულტრაიისფერი-ხილული სპექტროსკოპია	36
2.4.4.1. ნიტროანილინები როგორც ოპტიკური სინჯები	40
2.5. ჰოფმაისტერის სერია (ლიოტროპული რიგი).....	49
3. ექსპერიმენტული ნაწილი	53
3.1. გამოყენებული რეაქტივები, აპარატურა, შესრულების ტექნიკა.....	53
3.2. მოლეკულური სინჯის შებრუნებულ მიცელასთან შეკავშირების მუდმივების გამოსათვლელი ფორმულები	54
4. შედეგები და განსჯა.....	58
4.1. იონური ზანი-ის AOT-ის უწყლო და წყლიანი მიკროემულსიების სტრუქტურის შესწავლა.....	58

4.1.1. კოსმოტროპული და ქაოტროპული იონური ნივთიერებების გავლენის შესწავლა AOT-ის შებრუნებული მიკროემულსიის მიკროგარემოზე.....	61
4.1.2. კოსმოტროპული და ქაოტროპული არაიონური ნივთიერებების გავლენის შესწავლა AOT-ის შებრუნებული მიკროემულსიის მიკროგარემოზე.....	67
4.1.3. კათიონების გავლენის შესწავლა AOT-ის შებრუნებული მიკროემულსიის მიკროგარემოზე	74
4.2. Brij-30-ის უწყლო და წყლიანი შებრუნებული მიკროემულსიის შესწავლა	77
4.2.1. Brij-30-ის შებრუნებული მიკროემულსიის მიკროგარემოზე იონური ნივთიერებების გავლენის შესწავლა.....	78
4.2.2. Brij-30-ის შებრუნებული მიკროემულსიის მიკროგარემოზე იონური ნივთიერებების pH-ის გავლენის შესწავლა	85
4.3. შერეული მიკროემულსიების სტრუქტურის შესწავლა	89
4.3.1. AOT და Brij-30-ის უწყლო და წყლიანი შერეული სისტემების მიკროგარემოს შესწავლა	89
4.3.1.1. AOT-ის და Brij-30-ის შერეული შებრუნებული მიკროემულსიის მიკროგარემოს შესწავლა იონური ნივთიერებების თანაობისას.....	91
4.3.2. AOT-ის და Brij-30-ის შერეული შებრუნებული მიკროემულსიის მიკროგარემოს შესწავლა არაიონური ნივთიერებების თანაობისას	94
4.3.3. Brij-30-ისა და AOT-ის უწყლო და წყლიანი შერეული შებრუნებული მიკროემულსიის მიკროგარემოს შესწავლა	95
4.3.4. Brij-30-ისა და AOT-ის შერეული შებრუნებული მიკროემულსიის მიკროგარემოზე იონური ნივთიერებების გავლენის შესწავლა	97
4.3.5. ნატრიუმის ქოლატით მოდიფიცირებული AOT-ის საფუძველზე მომზადებული მიკროემულსიის მიკროგარემოს შესწავლა	99
4.3.5.1. ნატრიუმის ქოლატით მოდიფიცირებული Brij-30-ის საფუძველზე მომზადებული მიკროემულსიის მიკროგარემოს შესწავლა	103
5. დასკვნები	105
6. გამოყენებული ლიტერატურა	108

შესავალი

აქტუალობა. მიკროემულსიური სისტემები ბიოლოგიური მემბრანების საუკეთესო ხელოვნურ მოდელს წარმოადგენს მათი სტრუქტურის მსგავსების გამო. პირდაპირი მიკროემულსიების გარდა, მემბრანული სტრუქტურების ანალოგიურ სურათს ქმნის შებრუნებული მიცელები. შებრუნებულ მიცელებში მიმდინარე ბიოლოგიური პროცესები კარგად იმეორებს მათ მიმდინარეობას მემბრანულ გარემოში, მათ გულში სოლუბილიზირებული წყალი კი ბიოლოგიურ სისტემებში ჩაჭერილი წყლის საუკეთესო მოდელად გვევლინება. აქედან გამომდინარე, შებრუნებული მიცელების გულში მყოფი წყლის თვისებების კვლევა განსაკუთრებული აქტუალობით გამოირჩევა.

მნიშვნელოვანია მიკროემულსიების ძირითად მახასიათებლებზე იონური და არაიონური დანამატების გავლენა, წყლის სტრუქტურაზე მათი განსხვავებული მოქმედების გამო, კერძოდ, შებრუნებული მიცელების წყლის წვეთებში კოსმოტროპული და ქაოტროპული ბუნების იონური და არაიონური დანამატების შეტანა ცვლის ფაზათა გამყოფ ზედაპირთან მიმდებარე პერიფერიული წყლის სტრუქტურას. ამასთან, ჰოფმაისტერის რიგის კოსმოტროპული (სტრუქტურის მომაწესრიგებელი) და ქაოტროპული (სტრუქტურის დამარღვეველი) იონების გავლენა განსხვავებულია.

შებრუნებული მიცელების მიკროგარემოს ულტრაიისფერი-ხილული სპექტრომეტრიის მეთოდით კვლევა ოპტიკური სინჯების გამოყენებით ზედაპირულად აქტიური ნივთიერების იონურ ცენტრთან ახლოს მდებარე წყლის აგრეგატების თვისებების შესწავლის უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა. ეს ნიშნავს, რომ დამატებითი ინფორმაცია შეიძლება იქნას მიღებული შებრუნებული მიცელის პოლარული გულის ბუნების შესახებ.

სამუშაოს მიზანს წარმოადგენდა ანიონური ტიპის ნატრიუმის დიეთილჰექსილ სულფოსუქცინატის (AOT) და ტეტრაეთილენგლიკოლ მონოდოდეცილის ეთერის (Brij-30) შებრუნებული მიცელების მიკროგარემოს შესწავლა განსხვავებული ბუნების იონური და არაიონური დანამატების პირობებში ულტრაიისფერი-ხილული სპექტროსკოპიული მეთოდით ოპტიკურ სინჯად ორთო-ნიტროანილინის გამოყენებით. ამ მიზნის მისაღწევად დასახული იქნა შემდეგი ამოცანები: ზედაპირულად აქტიური ნივთიერების კონცენტრაციის გავლენის შესწავლა ოპტიკური სინჯის აბსორბციულ ელექტრონულ სპექტრებში ცვლილებებზე; ორთო-ნიტროანილინის შებრუნებულ მიცელებთან შეკავშირების კონსტანტების განსაზღვრა; აღნიშნულ მუდმივებზე კოსმოტროპული და ქაოტროპული იონური და არაიონური ბუნების დანამატების გავლენის შესწავლა.

წარმოდგენილი სამუშაოს მიზანი იყო აგრეთვე შერეული შებრუნებული მიკროემულსიური სისტემების სტრუქტურის შესწავლა.

სამეცნიერო სიახლე. ჩატარებული კვლევა განეკუთვნება ფუნდამენტური კვლევების კატეგორიას.

შებრუნებული მიკროემულსიების მიკროგარემოზე იონური და არაიონური ბუნების დანამატების გავლენის შესწავლის შედეგად გამოვლინდა ის კანონზომიერებები, რომლებიც განსაზღვრავს წყლის სტრუქტურას წყალი/ზედაპირულად აქტიური ნივთიერება ფაზათა შორის ზედაპირთან ანუ ზედაპირულად აქტიური ნივთიერების პოლარულ ჯგუფებთან.

კვლევებმა საშუალება მოგვცა შეგვეფასებინა ორთო-ნიტროანილინის შებრუნებულ მიცელებთან შეკავშირების კონსტანტები კოსმოტროპული და ქაოტროპული ბუნების იონების და არაიონური დანამატების თანაობისას.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. თეორიული მნიშვნელობა მოიცავს მცირე ზომის ღრმულებში ჩაჭერილი წყლის უნიკალური

სტრუქტურის და თვისებების შესწავლის სფეროს, ბიომემბრანების სტრუქტურის ხელოვნური დუბლირების და ხელოვნური მემბრანების მოდელების თვისებების შესწავლის საინტერესო მიმართულებებს.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება უკავშირდება მიკროემულსიების, როგორც კოლოიდური ქიმიის ერთ-ერთი უნიკალური სისტემის შესწავლის სფეროს; შესწავლილი მიკროემულსიების შესაძლო გამოყენებას, როგორც ორგანიზმში წამლების გადამტანები და როგორც წყალში ხსნადი ნივთიერებების შერჩევითი მასოლუბილიზირებელი სისტემები.

ნაშრომი მოცემულია 123 ნაბეჭდ გვერდზე, მოიცავს 56 ნახაზს. გამოყენებულია 186 დასახელების ლიტერატურული წყარო.

თემასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულია 8 სამეცნიერო ნაშრომი, აქედან 5 იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში. მათშორის დისერტაციის ირგვლივ გამოქვეყნებულია 3 სამეცნიერო ნაშრომის სახით, ამასთან 1 შრომა იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში:

1. M. Kurtanidze, M. Eliashvili, G. Bezarashvili, M. Rukhadze. „INVESTIGATION OF INFLUENCE OF SALT ADDITIVES ON THE BINDING PROCESS OF MOLECULAR PROBE TO AOT REVERSE MICELLES“. Georgia Chemical Journal. 18, N1, Pages 81-84, 2018.
2. M. Kurtanidze, S. Kadagishvili, G. Bezarashvili, M. Rukhadze. „STUDY OF INFLUENCE OF ADDITIVES OF SOME HALIDES ON THE MICROENVIRONMENT OF BRIJ-30 REVERSE MICELLES WITH AN UV-VISIBLE SPECTROSCOPIC METHOD“. Georgia Chemical Journal. 18, N1, Pages 94-98, 2018.
3. M. Kurtanidze, T. Butkhuzi, M. Rukhadze, N. Kokiashvili, G. BezaraSvili, J. Marcus, W. Kunz, K. Sigua. „Study of structural changes of water confined in Brij-30 reverse micelles: Revealing influence of ionic additives“ Colloids and Surfaces A: Physicochem. Eng.Aspects. Volume 519, Pages 98-105, 2017.

სადისერტაციო ნაშრომში მიღებული შედეგები წარმოდგენილი იყო 4 საერთაშორისო კონფერენციაზე:


1. World Congress on Chemistry, Study of Structure of Nonionic Reverse Micelles Modified with Sodium Cholate, 15-17 ნოემბერი, 2018 წელი, რომი, იტალია.
2. 21st International Symposium on Surfactants in Solution (sis 2016), Investigation of the Microenvironment of Brij 30 Reverse Micelles by Ultraviolet-visible Spectroscopy on the Basis of Molecular Probe. 5-11 ივნისი, 2016 წელი, ჯინანი, ჩინეთი.
3. Colloids 2014, Study of structural changes of water confined in the AOT and Brij-30 reverse micelles by UV-visible spectroscopy, 7-9 ივლისი, 2014 წელი, ლონდონი, დიდი ბრიტანეთი.
4. 14th European Student Colloid Conference, Investigation of influence of kosmotropic and chaotropic additives on the binding of O-Nitroaniline to reverse micelles of AOT in n-Hexane, 9-13 ივნისი, 2013 წელი, პოტსდამი, გერმანია

2. ლიტერატურის მიმოხილვა

2.1. მიკროემულსიების ზოგადი მიმოხილვა

მიკროემულსიები მინიმუმ სამი კომპონენტისგან შემდგარი, თერმოდინამიკურად სტაბილური, გამჭვირვალე სისტემებია. მიკროემულსიების შემადგენელი კომპონენტებია ზეთის ფაზა, წყლის ფაზა და ზედაპირულად აქტიური ნივთიერება (ზან). ზოგიერთ შემთხვევაში ემატება მეოთხე კომპონენტი, თანა-ზანი [1]. მიკროემულსიები არიან თხევადი სისტემები და იქცევიან როგორც ნიუტონის სითხეები და არ გამოირჩევიან მაღალი სიმკვრივით [2, 3].

კომპონენტებს შორის თანაფარდობაზე დამოკიდებულებით, განასხვავებენ პირდაპირ, ანუ ნორმალურ და შებრუნებულ მიკროემულსიებს. მიკროემულსიების მიკროსტრუქტურის ცვლილებას ზეთი-წყალში მიკროემულსიიდან, სადაც ზეთის წვეთები დისპერგირებულია წყლის ფაზაში (ნორმალური მიკროემულსია), წყალი-ზეთში მიკროემულსიამდე, სადაც წყლის წვეთები დისპერგირებულია ზეთის ფაზაში (შებრუნებული მიკროემულსია), განაპირობებს მიკროემულსიების შემადგენელ კომპონენტებს შორის თანაფარდობა. გარდა ამისა არსებობს სამფაზიანი, შუალედური მიკროემულსიური სისტემები (წყალი/ზეთი და ზეთი/წყალი), რომელშიც წონასწორობაშია მცირედ ჭარბი ზეთი და მცირედ ჭარბი წყალი [4-6].



ნახაზი 2.1. განსხვავებული ტიპის მიკროემულსიური სისტემების დიაგრამა: 1) წყალი/ზეთი მიკროემულსია, 2) ზეთი/წყალი მიკროემულსია და 3) ურთიერთუწყვეტი მიკროემულსია

პრაქტიკულად, ძირითადი განსხვავება ემულსიასა და მიკროემულსიას შორის მდგომარეობს მათი ჩამოყალიბების პროცესში. ემულსიებს აქვთ შედარებით მაღალი ზედაპირული დაჭიმულობა, კინეტიკურად არასტაბილური სისტემებია და საბოლოოდ იყოფიან ფაზებად, მაშინ როცა მიკროემულსიები თერმოდინამიკურად სტაბილური სისტემებია [7, 8]. სხვა მნიშვნელოვანი განსხვავება არის მათი გარეგანი სახე. მიკროემულსიებისგან განსხვავებით, ემულსიები არიან შემღვრეული გაუმჭვირვალე სისტემები. გარდა ამისა ისინი განსხვავდებიან მომზადების მეთოდებითაც, ემულსიებს მოსამზადებლად სჭირდებათ დიდი ენერგია [9]. მაშინ, როდესაც მიკროემულსიები ფორმირდებიან სპონტანურად, საშუალოდ 10 დან 140 ნმ მდე დიამეტრის წყვეთების სახით [10]. თუმცა, მიკროემულსიები შეიძლება იყოს ასიმეტრიული ფორმის, ხშირად მიიღება წაგრძელებული ელიფსოიდის ფორმებიც. [11]. მათი ნაწილაკების ზომა გაცილებით მცირეა, ვიდრე ხილული სინათლის ტალღის სიგრძე, მიკროემულსიები გამჭვირვალეა და მათ სტრუქტურაზე დაკვირვება შეუძლებელია ოპტიკური მიკროსკოპით [12].

2.2. ზან-ის მოლეკულები და შებრუნებული მიცელების სტრუქტურა

2.2.1. შებრუნებული მიცელების სტრუქტურული ასპექტები. შებრუნებული მიცელები არიან ზედაპირულად აქტიური ნივთიერებების მოლეკულების აგრეგატები, რომელთა პოლარული ჯგუფები თავმოყრილია აგრეგატის გულში, ხოლო მათი ჰიდროფობიური ნაწილები გაშლილი და განაწილებულია არაპოლარულ გამხსნელში. გამხსნელისა და მასში წარმოქმნილი მიცელების ურთიერთქმედებების რაციონალურად ასახსნელად, აუცილებელია შებრუნებული მიცელების ძირითადი თვისებების გაგება. ეს თემა უკვე ვრცლადაა განხილული წიგნებსა [13-15] და მიმოხილვებში [16, 17].

არაპოლარულ გამხსნელში ზან-ების ასოციაციების ამფიფილებს შორის დომინირებს დიპოლ-დიპოლური და იონ-წყვილური ურთიერთქმედებები, რაც სრულიად განსხვავებულია წყალში მიცელიზაციის პროცესისგან. ამ განსხვავებას ხაზს უსვამს პროცესის თერმოდინამიკაც. ნატრიუმის დიეთილჰექსილ სულფოსუქცინატის (AOT) პოლარულ გამხსნელში მიცელიზაციის ენტროპია არის დადებითი, მაშინ, როცა შებრუნებული მიცელების ფორმირებისას ენტროპია უარყოფითია [18, 19]. ორგანულ გამხსნელში აგრეგაციული დამოკიდებულება არის კომპლექსური ფენომენი. ზან-ის აგრეგატების ფორმები და ზომები დამოკიდებულია ზან-ის ტიპიზე და კონცენტრაციაზე, ასევე მის თავურ ჯგუფთან მდგომი იონის ბუნებასა [20-22] და გამხსნელზე [13]. გარდა ამისა, ორგანულ გამხსნელში ზან-ის სოლუბილიზაციასა და აგრეგაციაზე მკვეთრად მოქმედებს მესამე კომპონენტის თანადასწრება.

თვითოეულ აგრეგატში, მონომერების რიცხვი არის მცირე წყლის საერთოდ არ არსებობისას, ან წყლისა და ზან-ის მოლეკულას შორის, მოლური თანაფარდობის ძალიან დაბალი მნიშვნელობისას, W ($W=[\text{წყალი}]/[\text{ზან}]$) წყლიან მიცელასთან შედარებით [23].

შებრუნებული მიცელების ფორმირება შესაძლებელია, როგორც სოლუბილიზირებული წყლის არსებობის, ასევე მისი არ არსებობის შემთხვევაში [24].

თუმცა, როდესაც გარემო არის სრულიად უწყლო, ასეთ შემთხვევაში არ არის კარგად განსაზღვრული კრიტიკული მიცელაწარმოქმნის კონცენტრაცია (CMC) და ფორმირდებიან ძალიან პატარა და პოლიდისპერსული აგრეგატები [24-26].

ზულაუფი და ერიკი [25] ვარაუდობენ, რომ წყალი თამაშობს „შემაწებებელი“ აგენტის როლს, და მისი არსებობა არის მიცელიზაციის წინაპირობა პოლარულ გარემოში. წყლის არსებობა აძლევს საშუალებას წარმოიქმნან დიდი ზომის აგრეგატები მაღალი კოოპერატიულობით. ეს კონცეფცია გახდა გამოწვევა ნეუმანისთვის [26-29], რომელმაც დაადასტურა, რომ ნატრიუმის ბის (2-ეთილჰექსილ) ფოსფატით (NaDEHP), რომლის სტრუქტურაც მსგავსია AOT-ის სტრუქტურისა, ადვილად ყალიბდება გიგანტური ჩხირისებური მიცელები ნ-ჰექტანში და წყალმა შეიძლება იმოქმედოს ორგვარად, ანტი მიცელიზაციურ და შებრუნებული მიცელის წარმომქმნელ აგენტად. ნებისმიერ შემთხვევაში, სხვა ავტორების აზრით, წონასწორობაში მყოფი ფაზები და NaDEHP სისტემაში ფორმირებული მიკროემულსიის სტრუქტურა განსხვავებულია AOT-ის შემთხვევაში ფორმირებულისა [30-34]. წყლის დანამატის ორმაგი ეფექტი ასევე გამოკვლეულია სხვა ზან-ების გამოყენებით. უწყლოდ ფორმირებისას, ნახშირწყალბადებში (ორგანულ გამხსნელში) ამონიუმის ბის (2-ეთილჰექსილ) ფოსფატის ფორმები გაშლილია 33 ნმ-ზე გრძელ ჩხირისებრ შებრუნებულ მიკროემულსიად, რაც იწვევს სხნარის სიბლანტის გაზრდას. წყლის დამატებისთანავე, მიცელები იწყებენ სიგრძეში შემცირებას, ვიდრე არ ფორმირდება სფერული ფორმის მიკროემულსია ($W \approx 4$). წყლის შემდგომი დანამატით, იზრდება წვეთების ზომა, ბირთვის რადიუსთან ერთად [35]. ზოგიერთ სამუშაოში წყალი განიხილება როგორც შებრუნებული მიცელის აუცილებელი კომპონენტი და არა როგორც სოლუბილიზატი [36].

ისრაელაშვილის [37] მოწოდებული ვერსიით, ზან-ის მოლეკულური ჩალაგების პარამეტრი განმსაზღვრელია დიდი ზან-ის აგრეგატების ფორმაციაში. ზან-ის მოლეკულა შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც გეომეტრიული წაკვეთილი კონუსი, რომლის ზომები განსაზღვრულია შესაბამისად ჰიდროფობური და

ჰიდროფილური ნაწილის ურთიერთქმედებით. კერძოდ, ითვლება, რომ ზან-ის ჩალაგების პარამეტრი (θ) განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:


$$\theta = v/\sigma_l$$

სადაც v არის ზან-ის მოლეკულის მოცულობა, σ - თითოეული პოლარული თავის ფართობი და l - ჰიდროფობური ნაწილის სიგრძე. ზან-ის ჩალაგების პარამეტრი იძლევა კარგ წარმოდგენას იმისა, თუ როგორი მოხაზულობა აქვს აგრეგატს, რომელიც ფორმირდება სპონტანურად [37]. კერძოდ, შებრუნებული მიცელა, ან წყალი/ზეთში მიკროემულსია, ფორმირდება ზან-ებით, რომელთაც გააჩნიათ ჩალაგების პარამეტრის მაღალი მნიშვნელობა. ამიტომ ითვლება, რომ ნორმალური ჩხირისებური მიცელები ფორმირდებიან როდესაც: $2 < \theta < 3$, ხოლო სფერული მიცელები ფორმირდებიან როდესაც: $\theta > 3$ [38].

შებრუნებული მიცელები შეიძლება განვიხილოთ, როგორც იზოლირებული სფერული აგრეგატები. ამ მიცელებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი რაოდენობით წყლის ან სხვა პოლარული გამხსნელის სოლუბილიზაცია [39-45]. მაგ., AOT-ის შებრუნებულ მიცელებს შეუძლიათ გახსნან თავის გულში დიდი მოცულობით წყალი ($W= 40 -60$), სოლუბილიზირებული წყლის რაოდენობა დამოკიდებულია არაპოლარულ ორგანულ გამხსნელზე და ტემპერატურაზე [46]. ზან-ის კონცენტრაციის ცვლილებისას (მუდმივი W -ს პირობებში) იცვლება მხოლოდ შებრუნებული მიცელების რიცხვი, მათი თვისებების შეცვლის გარეშე. თუმცა, ცნობილია, რომ W -ს დაბალ მნიშვნელობაზე, ზან-ის (კერძოდ AOT-ის) კონცენტრაციის ზრდამ შეიძლება შეამციროს შებრუნებული მიცელების ზომები [47]. მაღალ კონცენტრაციაზე მიცელები წარმოქმნიან კლასტერებს. ამ პროცესს წინ უძღვის მიცელებს შორის კონტაქტი, მანამ სანამ არ მოხდება პერკოლაცია. ასევე, კერის ეფექტური ტექნიკის გამოყენებით, დადასტურებულია, რომ წვეთების ფორმა იცვლება უმეტესად სფერულიდან წაგრძელებულ ელიფსოიდამდე, როდესაც წყლის მოცულობა იზრდება [48]. ჭარბმა წყალმა, ან სისტემის გათბობა-გაციებამ შეიძლება მიგვიყვანოს ფაზების გაყოფამდე.

ზან-ის პოლარულ თავებს განიხილავენ, როგორც მთლიანად იონიზებულ ან ნაწილობრივ დისოცირებულად, რის გამოც შებრუნებული მიცელის გული ელექტრონულად ნეიტრალურია. ზან-ის კუდი, თავი და თავურ ჯგუფთან მდგომი იონი მოცემულ W -ს მნიშვნელობაზე, განსაზღვრავს აგრეგატის თვისებებს. მაგალითად AOT-ში, ტეტრაპროპილამონიუმიდან გადაადგილებულ Na^+ მივყავართ ცილინდრულ ფორმამდე როდესაც $W < 4$, სანამ W -ს უფრო მაღალ მნიშვნელობას არ მიაღწევს და სფერული ფორმის მიცელები არ ჩამოყალიბდება [49]. შებრუნებულ მიცელების გულში მყოფი წყლის წვეთები თითქმის სფერულია და გამოირჩევიან დაბალი პოლიდისპერსიულობით. W -ს დაბალი მნიშვნელობისას, სისტემები ძირითადად მოხსენიებულია, როგორც შებრუნებული მიცელები, ხოლო ტერმინს წყალი/ზეთში მიკროემულსიებს იყენებენ W -ს მაღალი მნიშვნელობისას. თუმცა მეცნიერების ნაწილი ასეთ დაყოფას არ აღიარებს [50,51].

ნახაზზე 2.1 მოცემულია ზედმეტად გამარტივებული სურათი, რომელშიც ზან-ის ყველა მოლეკულის თავი განთავსებულია თანაბარ სფერულ გარსზე, მსგავს სიტუაციას ადგილი აქვს მხოლოდ W -ს მაღალი მნიშვნელობის დროს. ჩვეულებრივ შემთხვევაშიც კი, მიღებულია, რომ ზან-ის თავები განლაგებულნი არიან არათანაბარ სფერულ გარსზე და გააჩნიათ შიდა R_i და გარე R_o რადიუსი [52, 53]. ეს გარსი მოიცავს შიდა ზედაპირს (ნახაზი 2.2). იონებს და წყალს შეუძლიათ შეაღწიოს ამ ფენის R_o -მდე. ზან-ის თავურ ჯგუფთან ბმული იონის განაწილება ზედაპირსა და წყლიან გულს შორის განსაზღვრულია NMR-ით[54].



ნახაზი 2.2. შებრუნებული მიკროემულსიის სავარაუდო შიდაზედაპირის სქემატური დიაგრამა

W-სთან ერთად ზან-ის თავი, σ , ოდნავ იზრდება და იკვეთება დაახლოებით წრფივი დამოკიდებულება წყლიან გულის რადიუსსა (R_w) და W-ს შორის. მსგავსი შედეგია მიღებული ვისკოზიმეტრული და დინამიკური სინათლის განხვევის ტექნიკის გამოყენებით [55, 56]. ეს შედეგები თანხვედრაშია მიცელის აგრეგატების მარტივ სფერულ მოდელთან. გამარტივებულ მოდელზე დამყარებული მარტივი გეომეტრიული მოსაზრებებით, რომლებშიც შიდა ზედაპირის მთელი ფართობი არის პროპორციული ზან-ის კონცენტრაციისა და საერთო შიდამიცელარული მოცულობა პროპორციულია სოლუბილიზირებული წყლისა, პროგნოზირდება შემდეგი: (1) აგრეგაციის რიცხვი უნდა გაიზარდოს W-ს ზრდასთან ერთად და (2) წყლიანი გულის რადიუსი პროპორციული უნდა იყოს W-სი.

2.2.2. შერეული მიკროემულსიები. როდესაც ორ განსხვავებულ ზან-ს იყენებენ მიკროემულსიის მოსამზადებლად ასეთ სისტემებს უწოდებენ შერეულ მიცელებს. შერევის დროს ზან-ების ქცევა განსხვავებულია ამავე ზანების ქცევისგან ინდივიდუალურად აგრეგაციის პროცესში. შერეული მიკროემულსიები არ არის იდეალური სისტემები. რაც დასტურდება მათი მიცელა წარმოქმნის კრიტიკული

კონცენტრაციების (CMC) განსაზღვრით. ორი ზანისგან მიღებული სისტემის CMC არ იცვლება წრფივად სისტემის შემადგენლობასთან ერთად.

შერეული მიცელური სისტემების თვისებები დამოკიდებულია ძირითადად პოლარული თავური ჯგუფების ურთიერთკავშირზე. შერეული სისტემები, რომლებიც მომზადებულია იდენტური პოლარული თავური ჯგუფების და განსხვავებული სიგრძის არაპოლარული ჯაჭვის მქონე ზან-ებისგან ახლოს არის იდეალურთან. ძლიერი გადახრები დაიკვირვება იონური და არაიონური ზან-ების ან კათიონურ-ანიონური ზან-ების შერევისას. კათიონური და ანიონური ზანების შერევა ხშირად (თუმცა არა ყოველთვის) უხსნადი ნალექის წარმოქმნით სრულდება.

შერეული მიცელების სტრუქტურა განსხვავებულია კლასიკური მიცელების სტრუქტურისგან. დაბალ კონცენტრაციებზე ფორმირდება ჩხირისებრი მიცელები. ასეთ სისტემებში მარილის დანამატის შეტანისას მკვეთრი ჩხირისებრი ფორმა განიცდის პროგრესს და შედარებით მოქნილი ხდება. ამ მოქნილი, ჩხირისებრი მიცელების ზომა ჯერ იზრდება, შემდეგ კი მცირდება კონცენტრაციასთან ერთად, ძლიერი შიგამიცელური განზიდვის გამო, რაც ვეზიკულას მიცელაში გადასვლის ანალოგიური პროცესია კონცენტრაციის ზრდისას. შედარებით მაღალ კონცენტრაციაზე მათი სტრუქტურა გადადის დისკის მსგავს სტრუქტურაში.

არაიონური და იონური ზან-ების საფუძველზე მომზადებული შერეული მიცელები ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ გამოკვლეული მიუხედავად იმისა, რომ ამ ტიპის მიცელებს ინდუსტრიაში გამოყენების ფართო არეალი გაჩნიათ [58].

2.2.3. **ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები (ზან).** ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები, ანუ როგორც მას ორმაგი ბუნების გამო უწოდებენ- ამფიფილები, წარმოადგენენ მინიმუმ ორი ნაწილისგან შემდგარ მოლეკულებს, რომელთა ერთი ნაწილი ხსნადია პოლარულ გამხსნელებში, ხოლო მეორე ნაწილი უხსნადი [59]. ზან-ის მოლეკულის თავურჯგუფად მოიხსენიებენ მის პოლარულ ნაწილს, ხოლო არაპოლარულ ნაწილს- როგორც მოლეკულის კუდს. ზან-ის მოლეკულას, მისი ორი ურთიერთსაწინააღმდეგო სოლუბილიზაციის უნარი აგრეგატების წარმოქმნის უნიკალურ შესაძლებლობას ანიჭებს. როდესაც ზან-ის მოლეკულა კონტაქტშია ორ ფაზასთან განსხვავებული ჰიდროფილური და ლიპოფილური თვისებებით, წარმოიქმნება აგრეგატები, რომელშიც ზან-ის ჰიდროფილური და ლიპოფილური ნაწილები მიმართულია შესაბამისად პოლარული ან არაპოლარული გარემოსკენ. ასეთ აგრეგატების წარმოქმნის გამო ხდება ზეთის სოლუბილიზაცია წყლის ფაზაში ან პირიქით წყლის სოლუბილიზაცია ზეთის ფაზაში [60].

ზან-ის მოლეკულებს განასხვავებენ მის თავურჯგუფების პოლარული ბუნების მიხედვით, კერძოდ: არაიონურ, ანიონურ, კატიონურ და ამფოტერულ ზან-ებად [61-63]. ზან-ის მოლეკულების თავურ ჯგუფებს შეიძლება წარმოადგენდნენ: კარბოქსილატები, სულფატები, ფოსფატები, სულფონატები, მეოთხეულ ამინები, პოლიეთერები და სხვა. ნორმალური ან შებრუნებული მიცელების წარმოქმნა დამოკიდებულია ზან-ის მოლეკულის ჰიდროფილურ-ლიპოფილურ ბალანსზე (HLB-ს რიცხვი) [64]. ზან-ის დაბალი HLB რიცხვი (3-6) მიუთითებს მოლეკულის დაბალ ჰიდროფილურობაზე, ასეთი ზან-ები წარმოქმნიან შებრუნებულ მიკროემულსიებს, ხოლო მაღალი HLB რიცხვის (8-18) სისტემები ნორმალურ მიკროემულსიებს [8].

2.3. მიცელების გულში ჩაჭერილი წყალი

მიცელური აგრეგატების მიერ ორგანული და არაორგანული სუბსტრატების, სოლუბილიზაცია ან ასოციაცია, დეტერგენტის ხსნარების ძირითადი თვისებაა. რომელიც, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბიოლოგიურ და ინდუსტრიულ პროცესებში.

ჩვეულებრივ უხსნადი ან მცირედხსნადი ნივთიერების ხსნადობის გაზრდას მიცელების თანაობისას სოლუბილიზაცია ეწოდება. თავდაპირველად ტერმინი იხმარებოდა წყლიანი მიცელური ხსნარებისთვის, მაგრამ დღეისთვის უფრო ფართო მასშტაბები შეიძინა. სოლუბილიზაციასთან არის დაკავშირებული მონელების და უჯრედის მემბრანის მკვებავი ნივთიერებებით გაჟღენთვის პროცესები, რის გამოც სოლუბილიზაცია, ბიოლოგების და ბიოქიმიკოსების ინტერესს იწვევს [65]. ფიზიკურ ქიმიაში, სოლუბილიზაცია არის დაკავშირებული მოლეკულათშორისი ძალების კვლევებთან. ისეთი ქიმიური ურთიერთქმედების შესაძლებლობა, როგორცაა მაგალითად, ჰიდრატაციის პროცესი, მას ასევე საინტერესოს ხდის ნავთობ ქიმიაში, დეტერგენტების და კოსმეტიკურ ინდუსტრიაშიც.

როდესაც ზედაპირულად აქტიური ნივთიერებების აგრეგატები იმყოფებიან არაპოლარულ გამხსნელში, მათი პოლარული ან დამუხტული ჯგუფები ლოკალიზებულია აგრეგატის გულში, ხოლო ნახშირწყალბადური ნაწილი მოთავსებულია გამხსნელში [66]. ამდენად წყალი ადვილად სოლუბილიზდება აგრეგატის პოლარულ გულში და ქმნის წყლის ჯიბეს, რომელიც ხასიათდება W -თი ($W=[H_2O]/[ზან]$) [67]. სოლუბილიზირებული წყალი ავლენს განსაკუთრებულ თვისებებს. ზან-ებს შორის, რომელთაც შეუძლიათ აგრეგატების ფორმირება, ნატრიუმის 1.4-ბის (2-ეთილჰექსილ) სულფოსუქცინატი (AOT) არის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული, რადგან AOT-ისგან წარმოქმნილ აგრეგატებს წყლის დიდი მოცულობით სოლუბილიზაციის უნარი გააჩნიათ ($W=40-60$) [68].

წყლის დაბალი შემცველობისას, როდესაც $W < 15$, სისტემას უწოდებენ მიცელას, მაშინ როდესაც, ტერმინი წყალი/ზეთში მიკროემულსია გამოიყენება უფრო

მაღალი W-ს მნიშვნელობისას. შებრუნებული მიცელის წყლიან გულში წყალი სტრუქტურირებულია დაახლოებით $W=10$ -მდე AOT-ის პოლარული თავების და Na^+ საპირისპირო იონების ურთიერთქმედების გამო [69, 70]. შებრუნებულ მიცელაში ჩაჭერილი წყლის მოლეკულების თვისებები დამოკიდებულია W-ს მნიშვნელობასა [40, 71] და ზან-ის თავური ჯგუფების ბუნებაზე [71, 72]. მცირე რაოდენობით წყლის არსებობისას, წყლის ყველა მოლეკულა დაკავშირებულია ზან-ის თავურ ჯგუფებთან და თავურ ჯგუფთან ბმულ იონთან, შესაბამისად, განსხვავებული წყალი ვერ დაიკვირვება. AOT -ისთვის, სხვადასხვა ტექნიკის საშუალებით დადგენილია, რომ ზან-ის თავების და თავურ ჯგუფთან მდგომი იონის ურთიერთქმედების პირობებში, წყალი ძლიერად სტრუქტურირებულია $W = 10$ -მდე [71-75]. როდესაც $W > 20$ -ზე უკვე თავისუფალი („ნორმალური“) წყალი დომინირებს, ხოლო როდესაც $10 < W < 20$ შუალედური მდგომარეობაა [75-79]. თავისუფალი წყლის არსებობისას [80] W-ს მაღალ მნიშვნელობაზე, კინეტიკური და სპექტროსკოპული მონაცემები თანხვედრაშია იმასთან დაკავშირებით, რომ მსგავსი ურთიერთქმედებები ხდება მიცელის გულში არსებულ წყლის წვეთში (ჩაჭერილ წყალში) და თავისუფალ წყალში. ეს მსგავსება დადგენილია მრავალი კვლევით [81-85].

აგრეგატის გულში მოხვედრისას, წყლის ყველა მოლეკულა მიისწრაფის, რომ თავდაპირველად მოხდეს ზან-ის თავური ჯგუფების ჰიდრატაცია, ამის შემდეგ, დანარჩენი წყლის მოლეკულები წარმოქმნიან წყლის ჯიბეს, ამ ჯიბეში მოთავსებულ წყალს აქვს თავისუფალი წყლის მსგავსი თვისებები. ეს მოდელი დაფუძნებულია უელსის [86,87] და ზინსლის [88] შემოთავაზებულ მოდელზე. ეს მოდელი აღიარებს ორი და მეტი ტიპის წყლის არსებობას [89].

წყლიანი გულისა და თავისუფალი წყლის თვისებებს შორის მსგავსება არ ვრცელდება იმ თვისებებზე, რომლებიც დაკავშირებულია გამხსნელის ორგანიზაციასთან. აკუსტიკურმა (ბგერითი) და დენსიმეტრულმა კვლევებმა AOT ან არაიონურ ($C_{12}E_4$) ზედაპირულად აქტიური ნივთიერებების შებრუნებულ მიცელაში აჩვენა, რომ W-ს ყველაზე მაღალი მნიშვნელობისთვის მიღებული კუმშვადობის

პარამეტრი განსხვავებულია იმ მონაცემისგან, რასაც იძლევა მოცულობითი წყალი, რომელიც ასახავს ჩაჭერილი წყლის სპეციფიკურ თვისებებს [90]. ანალოგიურად, წყლის დიელექტრიკული თვისებები გამოკვლეული AOT/ნ-ჰექტანის მიცელაში ტერაჰერცული სპექტროსკოპიის გამოყენებით, აჩვენებს, რომ დიელექტრიკული რელაქსაციის ამპლიტუდა არსებითად მცირეა, ვიდრე ეს დაიკვირვება მოცულობით წყალში [91]. ეს განსხვავება მიაკუთვნეს მცირე ზომის ღრმულებში ჩაჭერის ეფექტს, რაც ხელს უშლის ფართო დიაპაზონიანი კოლექტიური მოდელის არსებობას, რასაც ადგილი აქვს მოცულობით სითხეში.

წყალი/AOT/იზოოქტანი შებრუნებულ მიცელაში წყლის ძვრადობა შესწავლილია პოლარული გამხსნელის დინამიკის კვლევით ულტრაჩქარი ფლუორესცენციული მოეთოდით [92]. ამ ტექნიკის გამოყენებით დამტკიცდა რომ, წყლის ურთიერთკავშირი ზან-ის თავურ ჯგუფებთან სპობს „მოცულობითი“ გამხსნელის მსგავს დინამიკას, განსაკუთრებით, როდესაც $W < 5$, როდესაც წყალი არსებითად გადაცივებულია. W -ს უფრო მაღალ მნიშვნელობაზე წყლის ძვრადობა იზრდება, მაგრამ დინამიკა ისევ ნელი რჩება, განსხვავებით იმ სისტემებისგან, რომელშიც დასტურდება მოცულობითი წყლის არსებობა, რაც მიუთითებს, რომ გამხსნელის ძვრადობას შებრუნებულ მიცელურ გარემოცვაში განაპირობებს ზან-ის ფაზათაშორისი ზედაპირი. დადასტურებულია [77, 93, 94], რომ ასეთ აუზებში წყლის რელაქსაციის დრო არის 2-სა და 10 ნანოსეკუნდს შორის, რომელიც დაახლოებით ათასჯერ ნელია, ვიდრე ეს ფიქსირდება მოცულობით წყალში [95].

DAP/წყალი/ბენზოლი (ან ნახშირბადის ტეტრაქლორიდი) შებრუნებულ მიცელებში ^{13}C ქიმიური წანაცვლება და სპინ-მესრული რელაქსაციის დროის გაზომვამ სოლუბილიზირებული ^{13}C გლიცინისთვის [96] აჩვენა, რომ გლიცინის მოლეკულების უმრავლესობა არ არის შეკავშირებული ზან-ის თავებთან და სოლვატირებულია წყლის მოლეკულებით. შედარებით მცირე ზომის წყლის აუზში, წყლის მოლეკულების სიმკვრივე, რომლებიც აკრავს გლიცინს, შეესაბამება 78%-იან გლიცერინის წყალხსნარის სიმკვრივეს. წყლის აუზის გაზრდის შედეგად მცირდება

მიკროსიმკვრივე. ცვლილება არის მინიმალური, როდესაც $W > 6$ და მნიშვნელობა თითქმის დამოუკიდებელია გარე გამხსნელზე [97]. აღსანიშნავია, რომ წყლის აუზის მიკროსიბლანტე საგრძნობლად მცირდება როდესაც W იზრდება.

2.3.1. ორგანული გამხსნელები, როგორც მიცელის „შემაწებელი“ აგენტები

გარდა წყლისა, ზოგიერთ, მაღალი დიელექტრიკული მუდმივისა და ნახშირწყალბადურ გამხსნელებში სოლუბილიზაციის დაბალი უნარის მქონე, პოლარულ ორგანულ გამხსნელს შეუძლია შებრუნებულ მიცელაში ინკაპსულირება [98]. ასეთი ორგანული გამხსნელებია მაგალითად: ფორმამიდი (FA), დიმეთილფორმამიდი (DMF); დიმეთილაცეტამიდი (DMA); ეთილენ გლიკოლი (EG); პროპილენ გლიკოლი (PG) და გლიცეროლი (GY). ასეთ სისტემებს უწოდებენ უწყლო მიკროემულსიებს და აღწერილია მთელი რიგი უპირატესობები წყლიან შებრუნებულ მიკროემულსიებთან შედარებით, როგორცაა მაგალითად დილს-ალდერის რეაქცია [41]. ცნობილია, რომ ამ გახმხსნელების შემცველ AOT/ნ-ჰეპტანის საფუძველზე მომზადებულ შებრუნებულ მიცელებს გააჩნიათ სფერული ფორმა. უფრო მეტიც, სანამ მიცელები წყლის ან ორგანული გამხსნელის არ არსებობის პირობებში ფორმირდება, მათი ჰიდროდინამიკური რადიუსი დაახლოებით 1.5 ნმ-ია [99], წყლის გულიან მიცელებთან შედარებით, პოლარული გამხსნელის გულიანი მიცელები უფრო სწრაფად ფორმირდებიან და მათი ზომები მსგავსია როდესაც $W_0=10$ (წყლიანი სისტემები) და როდესაც $W_s = [\text{პოლარული გამხსნელი}]/[\text{ზან}] \sim 2$ (უწყლო სისტემები) [43, 100]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შებრუნებული მიცელის ზომა დამოკიდებულია W_s -ზე [42, 92]. სინათლის დინამიკური გაბნევის ექსპერიმენტმა აჩვენა [101], რომ GY,

წყალი, EG, DMF, DMA ან FA/AOT/ნ-ჰექსანის შებრუნებული მიცელების წვეთის ზომა დამოკიდებულია სხვადასხვა გამხსნელისა და ზან-ის ურთიერთქმედებაზე და არა მათ მოლურ მოცულობაზე, V_m . ამ ურთიერთქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვნად იმოქმედოს ზან-ის ეფექტურ a მნიშვნელობაზე. მიცელების ზომები თანაბარია, როდესაც წყალბადური ბმების დორნორული უნარის მქონე გამხსნელია გამოყენებული და არის უფრო დიდი, ვიდრე ისეთი გამხსნელის გამოყენებისას, რომელსაც არ აქვს წყალბადური ბმების დონორული უნარი.

FT-IR-ის გამოყენებით [102] დაიკვირვება ცვლილებები AOT-ის C=O, სიმეტრიული და ასიმეტრიული SO_3^- ვიბრაციულ რხევებზე, მიცელაში არსებულ, პოლარული გამხსნელის მოცულობის ზრდისას. შედეგებიდან ჩანს, რომ GY ურთიერთქმედებს წყალბადური ბმით SO_3^- ჯგუფთან, გადაადგილებს გამყოფი ზედაპირიდან Na^+ იონს, რომელიც რჩება მიცელის პოლარული ბირთვში. PG და EG ურთიერთქმედებენ წყალბადური ბმით შიდა ზედაპირის ზეთის ფაზაში შეღწეულ AOT-ის C=O ჯგუფთან. ამდენად, ისინი სუსტად ურთიერთქმედებენ Na^+ , რომელიც ახლოს არის AOT-ის სულფონატურ ჯგუფთან. FA ინკაფსულირდება AOT-ის შებრუნებულ მიკროემულსიაში, ელექტროსტატიკური ურთიერთქმედებით ძლიერად ურთიერთქმედებს ზან-ის Na^+ იონთან, რომლის ჩაჭერა ხდება FA-ს სტრუქტურაში არსებული წყალბადური ბმებით [103]. DMF და DMA ინკაფსულირდებიან შებრუნებული მიცელის გულში, არ ურთიერთქმედებენ არც C=O და არც SO_3^- ჯგუფთან, მაგრამ მათი სუსტად ასოცირებული სტრუქტურა დარღვეულია Na^+ იონთან ურთიერთობის გამო. არსებობს ვარაუდი, რომ DMF და DMA შეიძლება წარმოქმნიდნენ კომპლექსს Na^+ იონთან კარბონილური და ნიტრო ჯგუფებით. ინკაფსულირებული პოლარული გამხსნელს სტრუქტურა მკვეთრად დარღვეულია პოლარული გამხსნელი-ზან-ის ძლიერი ურთიერთკავშირის გამო. AOT-ის SO_3^- ჯგუფებთან წყლისა და GY-ს წყალბადური ბმებით შეკავშირების გამო ხდება ზან-ის თავურ ჯგუფთან მდგომი იონის (Na^+) გადანაცვლება [102]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ GY ურთიერთქმედების სიძლიერე წყალთან შედარებით უფრო მაღალია [104,

105]. მეორეს მხრივ, EG აღწევს ზან-ის ლიპოფილურ მხარეს და ურთიერთქმედებს ძირითადად AOT-ის C=O ჯგუფებთან. ასევე, EG სუსტად ურთიერთქმედებს Na⁺ ზან-ის თავურ ჯგუფთან მდგომი იონთან, რომელიც, როგორც ჩანს, უფრო ახლოსაა AOT-ის სულფონატურ ჯგუფთან, როგორც W_s = 0-ის შემთხვევაში [102]. FA არის „განსაკუთრებული“ გამხსნელი, ის ინკაფსულირდება AOT-ის მიცელის მიერ, ძლიერად უკავშირდება თავურ ჯგუფთან მდგომ იონს (Na⁺) და ზან-ის სულფო ჯგუფი ელექტროსტატიკური ურთიერთქმედებით აძლიერებს FA-ში არსებულ წყალბადური ბმების ბადეს [103].

2.4. შებრუნებული მიკროემულსიების შესწავლის ფიზიკურ-ქიმიური მეთოდები

2.4.1. შებრუნებულ მიცელებში ჩაჭერილი წყლის სტრუქტურის კვლევა

ინფრაწითელი სპექტროსკოპიული მეთოდით

შებრუნებული მიცელების სტრუქტურა და მიცელებში ჩაჭერილი წყლის თერმოდინამიკური და სპექტროსკოპიული თვისებები მრავალი ექსპერიმენტული ტექნიკის გამოყენებით არის შესწავლილი. შებრუნებულ მიცელების სტრუქტურის კვლევის კიდევ ერთ მნიშვნელოვან მეთოდს წარმოადგენს ინფრაწითელი (IR) სპექტროსკოპია. მეთოდი საკმაოდ მგრძობიარეა, ახასიათებს შერჩევითობა ფუნქციური ჯგუფების მიმართ. განსხვავებულ გარემოში არსებული წყლის მოლეკულებს გააჩნიათ განსხვავებული ვიბრაციული ენერგიები. შესაბამისად ეს მეთოდი ჩაჭერილი წყლის სტრუქტურის შესწავლის საშუალებას იძლევა.

IR სპექტროსკოპიული მეთოდით, ჩაჭერილი წყლის სტრუქტურა მრავალი მეცნიერის მიერ არის გამოკვლეული. ზოგიერთი მეცნიერის მიერ მიკროემულსიებში შესწავლილია ორი ტიპის წყლის არსებობა [20, 106-154], ზოგიერთ შრომაში - სამი ტიპის წყალი [78, 107, 108], ზოგიერთ კვლევაში კი ოთხი ტიპის წყლის არსებობა არის განხილული [109-113]. მიკროემულსიაში ჩაჭერილი წყლის IR სპექტრი მნიშვნელოვნად განსხვავდება სუფთა წყლის სპექტრისაგან. წყლის მდგომარეობის დასახასიათებლად შერჩეულია O-H ბმის შთანთქმის უბანი, რომელიც მდებარეობს $3800-3000 \text{ სმ}^{-1}$ ტალღური რიცხვის ფარგლებში [78, 106, 107].

AOT-ის მიცელებში ჩაჭერილი წყლის სტრუქტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კვლევა ეკუთვნის ჯეინს და მის ჯგუფს [107], მან ერთ-ერთმა პირველმა განიხილა მიცელაში სამი ტიპის წყლის არსებობა. მათ შეისწავლეს AOT/იზოოქტანი/წყალი სისტემა, სადაც მიცელაში ჩაჭერილი წყალი არსებობს სამ სხვადასხვა მდგომარეობაში, ბმული, თავისუფალი და ზან-ის ფენაში გასული წყალი. სხვადასხვა მდგომარეობაში წყლის მოლეკულების შთანთქმის ზოლები გადაფარავს ერთმანეთს და მიიღება ფართო და ასიმეტრიული პიკი [106].

წყლის O-H ბმის შთანთქმის პიკის საერთო ფართობი იზრდება W-ს გაზრდით, რაც გამომდინარეობს ბერის კანონიდან. რადგან წყალი წარმოდგენილია სამი სხვადასხვა სახით, მიზანშეწონილია მივიჩნიოთ, რომ სრული პიკის ფართობი წარმოადგენს სხვადასხვა ტიპის წყლის შესაბამისი პიკების ფართობების ჯამს, ხოლო თითოეული ტიპის წყლის წილი შესაბამისად იქნება მისი ფართობი შეფარდებული საერთო ფართობთან, ხოლო სამივე ტიპის წყლის შემცველობის ჯამი ერთის ტოლია [107].

მიკროემულსიურ სისტემაში შეტანილი წყალი ახდენს AOT-ის თავური ჯგუფების ჰიდრატირებას, იზრდება ბმული წყლის რაოდენობა და მცირდება თავისუფალი წყალი. ეს მდგომარეობა მრავალი ავტორის მიერ აღწერილია როგორც „გაბერილი მიცელური“ უბანი [114-116].

ოთხი სახის წყლის შემცველ მოდელში [109-113] განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ბმულ წყალში განიხილება ორი სხვადასხვა ტიპის წყალი, წყალი, რომელიც ბმულია სულფონატის ჯგუფებთან და წყალი, რომელიც ბმულია ნატრიუმის საწინააღმდეგო იონთან. იონური ზან-ების გარდა ინფრაწითელი სპექტროსკოპიით ასევე შესწავლილია არაიონური ზედაპირულად აქტიური ნივთიერებებით წარმოქმნილი შებრუნებული მიცელების გულში ჩაჭერილი წყლის სტრუქტურა. ბრუბახის [117] ჯგუფის მიერ შესწავლილია ფთორირებული არაიონური ზედაპირულად აქტიური ნივთიერება - $F_8C_{11}DMP$, სადაც DMP - არის დიმორფოლინოფოსფატი.

ახლო-ინფრაწითელი სპექტროსკოპიით შესწავლილია ჩაჭერილი წყლის მდგომარეობა 1800-2100 ნმ უბანში [118]. გამოკვლეულია სისტემა წყალი/AOT/Brij-30/n-ჰექსანი, როცა $W=6$. მიღებული სპექტრი დაშლილია სამ ქვეპიკად. ყველაზე მაღალი ტალღური რიცხვის შესაბამისი ზოლი, ეკუთვნის ზან-ის ფენაში გასულ წყალს (კვაზი მონომერულ წყალს), რომლითაც ჰიდრატირებულია $C_{12}E_4$. ამ კომპონენტის რაოდენობა იზრდება სისტემაში ტეტრაეთილენგლიკოლ მონოდოდეცილის ეთერის (Brij-30) შემცველობის ზრდით ზან-ების ნარევიში. თუმცა

თავისუფალი წყალი უფრო მეტია დეკალინის სისტემაში, ვიდრე ჰეპტანში. ნაზარიოს ჯგუფის [119] მიერ აღწერილია Brij-30-ის მსგავსი, C₁₀E₄ ზან-ის, AOT-ის მიცელებში განაწილების ორი შესაძლებლობა. C₁₀E₄-ის პოლარული თავები მიმართულია წყლის აუზისკენ, ან მიმართულია ზან-ის თავური ჯგუფებისკენ. გეზიკის ჯგუფის

კვლევებმა [97] კი დაადგინა, რომ იონური ზან-ის განაწილება დამოკიდებულია გამხსნელად გამოყენებულ ნახშირწყალბადაზე. დეკალინი კარგად ვერ აღწევს AOT-ის ზედაპირში, ამიტომ რჩება ადგილი Brij-ის მოლეკულებისთვის. ხოლო ნახშირწყალბადი კარგად შეღწევადი უნარით, როგორც არის ჰეპტანი, არ ტოვებს საკმარის ადგილს Brij-სთვის და ამიტომ C₁₂E₄ მიმართულია წყლისკენ.

მიტრას ჯგუფის მიერ [120] შესწავლილია AOT/Brij-30-ის იზოოქტანში, შერეულ მიცელებში ჩაჭერილი წყლის მიკროსტრუქტურა FTIR სპექტროსკოპიით. სისტემის O-H პიკი დაშლილია ორ ქვეპიკად, რომელთა მაქსიმუმები არის ~3500 სმ⁻¹ და ~3300 სმ⁻¹, რომლებიც შეესაბამება ბმულ და თავისუფალ წყალს. შესწავლილი იყო W=2.5 სისტემა. AOT/იზოოქტანის შებრუნებულ მიცელებში ~3500 სმ⁻¹-ის შესაბამისი პიკის ფართობი მეტია, ვიდრე 3300 სმ⁻¹ შესაბამისი პიკის ფართობი, რაც ასახავს იმ ფაქტს, რომ ბმული წყლის რაოდენობა მეტია თავისუფალი წყლის რაოდენობაზე. ჰიდრატირების ასეთ დაბალ დონეზე, წყლის მოლეკულების უმეტესობა დაკავშირებულია AOT-ის პოლარულ თავებთან. Brij-30-ის მოლური წილის გაზრდით სისტემაში, პიკი ~3300 სმ⁻¹-ზე ძლიერდება ~3500 სმ⁻¹-ის ხარჯზე. როცა X_{Brij-30} = 0.6, სისტემაში ორივე ტიპის წყლის რაოდენობა თითქმის თანაბარია. რადგან წყლის რაოდენობა ფიქსირებულია, სავარაუდოა, რომ წყლის მოლეკულები ნაკლებად ურთიერთქმედებენ არაპოლარულ თავურ ჯგუფებთან, ვიდრე AOT-ის თავურ ჯგუფებთან.

2.4.2. შებრუნებულ მიცელებში ჩაჭერილი წყლის სტრუქტურის კვლევა ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსული სპექტროსკოპიული მეთოდით

მიცელური და თხევადი კრისტალური სისტემების შესწავლისთვის ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსული სპექტროსკოპიული მეთოდის (NMR) გამოყენება 1970-იანი წლებიდან დაიწყო. ამ მეთოდის მრავალმხრივ გამოყენების სფეროს განაპირობებს ის, რომ მისი გამოყენებით ატომურ დონეზე შესაძლებელია ინფორმაციის მიღება. კერძოდ, NMR მეთოდით მიღებული პარამეტრები იძლევა ინფორმაციას სხვადასხვა ფაზებსა და სისტემებში მოლეკულური წყობის, მათი დინამიკისა და მოლეკულათაშორისი ურთიერთქმედებების შესახებ. მიცელურ სისტემებში NMR იშვიათად გამოიყენება მოლეკულების იდენტიფიკაციისათვის. მიუხედავად იმისა, რომ NMR-ში ბირთვის ქიმიური წანაცვლება განისაზღვრება ნაერთის ქიმიური სტრუქტურიდან გამომდინარე, ხოლო ისეთი ფაქტორები, როგორცაა მაგალითად: წყალბადური ბმა; არომატული ბირთვების სიახლოვე; კონფორმაციული ცვლილებები და გამხსნელის პოლარობა, წანაცვლების მნიშვნელობაზე სუსტ გავლენას ახდენს, ჩვეულებრივ, ეს სუსტი ფაქტორები იძლევა ინფორმაციას მიცელურ სისტემებში კონკრეტული მოლეკულების ან ჯგუფების მდებარეობაზე, მათ აგრეგაციასა და მოლეკულებსა და/ან იონებს შორის ურთიერთქმედებაზე [121].

გარდა ქიმიური წანაცვლებისა, NMR მეთოდით შეიძლება განისაზღვროს სპინ-სპინური ურთიერთქმედების კონსტანტები, ზოლის სიგანე და ბირთვულ-სპინური რელაქსაცია. მნიშვნელოვანი მეთოდია მრავალგანზომილებიანი NMR, რომლის დახმარებით შესაძლებელია განისაზღვროს მიცელაწარმოქმნის კრიტიკული კონცენტრაცია, მიცელური აგრეგატების ფორმა და ზომა, სოლუბილიზაცია და სხვა თვისებები [121].

შებრუნებულ მიცელებში მოლეკულური ურთიერთქმედებისა და სტრუქტურული ცვლილებების შესასწავლად დღესდღეისობით ფართოდ გამოიყენება მაღალი რეზოლუციის ^1H , ^2H , ^{13}C , ^{23}Na და უახლესი ^{51}V NMR

სპექტროსკოპია. რამოდენიმე ჯგუფის [53, 67, 122] მიერ არის შესწავლილი ^1H NMR მეთოდით, პროტონის ქიმიური წანაცვლება. დადგენილია, რომ W-ს მაღალ მნიშვნელობაზე, δ-ს მნიშვნელობა უახლოვდება 4.8 ppm-ს, რაც სუფთა წყლის პროტონის ქიმიური წანაცვლების ტოლია. ამასთან, δ-ს დაბალი მნიშვნელობა მიუთითებს სუსტი წყალბადური ბმის არსებობაზე ჩაჭერილ წყალში.

NMR სპექტროსკოპიული მეთოდით შებრუნებული მიცელების სტრუქტურის შესწავლის ერთ-ერთი პირველი შრომა ეკუთვნის ვონგის ჯგუფს. მათ შეისწავლეს შებრუნებული მიცელების გულში არსებული წყლის ფაზა და დაადგინეს, რომ ასეთ სისტემაში აგრეგატის გულში არსებული წყლის თვისებები მნიშვნელოვნად განსხვავდება სუფთა (თავისუფალი) წყლის თვისებებისაგან. მიცელის შიგნით წყლის რაოდენობის ზრდა გავლენას ახდენს ^1H რელაქსაციის სიჩქარეზე და ადასტურებს, რომ წყალი მისი მცირე შემცველობისას არის უძრავი და მისი ძვრადობა იზრდება წყლის შემცველობის ზრდით [123].

NMR სპექტროსკოპიული მეთოდით მაიტრას ჯგუფმა შეისწავლა იონური ზან-ის - AOT-ის შებრუნებულ მიცელაში ჩაჭერილი წყლის სტრუქტურა [124]. მათი კვლევის მიხედვით, AOT-ის შებრუნებულ მიცელაში ჩაჭერილი წყლის პროტონის ქიმიური წანაცვლება წყლის სხვადასხვა მდგომარეობების (თავისუფალი და ბმული) ქიმიური წანაცვლებების ჯამს წარმოადგენს. თავისუფალი წყლის პროტონის რეზონანსები მიმართულია დაბალი სიხშირის ველისკენ და უახლოვდება ჩვეულებრივი (სუფთა) წყლის მაჩვენებელს (4.8 ppm), მაშინ როცა ბმული წყლის მოლეკულების ქიმიური წანაცვლებები ძირითადად მიმართულია მაღალი სიხშირის ველისკენ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კვლევაში უგულებელყოფილია ზან-ის ფენაში გასული წყლის რაოდენობა. მათი მოწოდებული თეორიის თანახმად, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ბმული წყალი შედგება უარყოფითად დამუხტული ზან-ის ფენასთან, წყალბადური ბმებით დაკავშირებული წყლის მოლეკულებისგან, რომლებიც თავის მხრივ მიმართულია ნატრიუმის იონებისკენ და არიან ორმაგი შრის გარემოში. თუ გაიზრდება მიცელის ზომები, დისოცირებული ნატრიუმის იონები

გადავლენ თავისუფალი წყლის უბანში, რაც შესაბამისად ბმული წყლის ფენის სისქეს შეამცირებს. პროტონის ქიმიური წანაცვლების მნიშვნელობების გამოყენებით, მიტრას ჯგუფმა გამოთვალა ორი სისტემის წყალი/AOT/ციკლოჰექსანი და წყალი/AOT/იზოოქტანის წყლის წვეთების ზომების სხვადასხვა პარამეტრი, რაც კარგად ემთხვევა აქამდე ცნობილ ლიტერატურული მონაცემებს.

^1H NMR მეთოდით შესწავლილია AOT-ის მოლეკულაში, თავურ ჯგუფთან ბმული იონის ბუნების გავლენა სოლუბილიზირებული წყლის თვისებებზე [125], რომლის თანახმადაც მიკროემულსიის მახასიათებლები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საწინააღმდეგო იონზე. მიცელურ სისტემაზე წყლის დამატება გავლენას ახდენს მხოლოდ წყლის პროტონის ქიმიურ წანაცვლებაზე. წყლის პროტონის მაგნიტური რეზონანსი გამოსახულია ერთი პიკით, რომელიც სხვადასხვა მდგომარეობაში არსებული წყლის პროტონების სწრაფი მიმოცვლის მაჩვენებელია. საწინააღმდეგო იონის ჰიდრატაციის მნიშვნელობის შესასწავლად, გამოკვლეული იყო AOT-ის ალუმინის მარილი. გამოვლინდა, რომ ამ სისტემაში ქიმიური წანაცვლების მნიშვნელობა საწინააღმდეგო AOT-ის შემთხვევაში მიღებული შედეგისა და დაბალი სიხშირის ველიდან მაღალი სიხშირის ველისკენ არის მამართული [126]. მცირე რადიუსის და მაღალი მუხტის მქონე იონები ახდენენ წყლის მოლეკულების ძლიერ პოლარიზაციას, რის შედეგადაც წყალბადის ატომების ელექტრონული ღრუბლის სიმკვრივე მნიშვნელოვნად მცირდება, რასაც მოყვება მაგნიტური რეზონანსის წანაცვლება დაბალი ველისკენ, წყლის დაბალი შემცველობის დროს [127]. შებრუნებულ მიცელაზე წყლის დამატება, იწვევს სისტემის განზავებას, შესაბამისად, ალუმინის იონთან ბმული წყლის ფრაქცია მცირდება და წყლის შემცველობის ზრდასთან ერთად, ქიმიური წანაცვლების საშუალო მნიშვნელობა ინაცვლებს მაღალი სიხშირის ველისკენ. ანიონის და საწინააღმდეგო იონის მიერ ქიმიური წანაცვლების მნიშვნელობაზე წყლის ჰიდრატაციის ეფექტი შემდეგნაირად აიხსნება: (i) მიცელის წყლის წვეთში არსებულ თავისუფალ წყალში, წყალბადური ბმების შემდგომი რღვევით, ანიონური ზან-ის

თავურჯგუფის ჰიდრატირებისას, იზრდება წყლის მოლეკულების წყალბადატომების ელექტრული მუხტის სიმკვრივე. ძლიერად ჰიდრატირებულ თავურჯგუფებთან ბმული წყლის პიკის ქიმიური წანაცვლების მნიშვნელობა წანაცვლებულია უფრო მაღალი სიხშირის ველისკენ, თავისუფალ წყალთან შედარებით. (ii) მიცელის გულში მდებარე საწინააღმდეგო იონები ახდენენ წყლის მოლეკულების პოლარიზაციას და ამცირებენ ელექტრონულ სიმკვრივეს პროტონის გარშემო. ამ ეფექტის გამო პროტონი გადანაცვლებულია დაბალი სიხშირის ველისკენ, ხოლო δ ღებულობს მაღალ რიცხვით მნიშვნელობას. ჰიდრატირების ზღვარს ზევით სისტემაში წყლის დამატება ზრდის თავისუფალი წყლის კომპონენტს, რასაც მოყვება ქიმიური წანაცვლების მნიშვნელობის მიახლოება თავისუფალი წყლის მნიშვნელობასთან.

შესწავლილია ზემოთ აღნიშნული ზან-ების შერეულ შებრუნებულ მიცელებში სოლუბილიზირებული წყლის თვისებები [108]. გამოვლინდა რომ შებრუნებულ მიცელებში ჩაჭერილი წყლის მახასიათებლები დამოკიდებულია წყლის შემცველობაზე და ზან-ის თავურ ჯგუფზე.

განსხვავებით იონურ ზან-ებისა, შრომები არაიონური ზან-ებზე გაცილებით მწირია. NMR-ის თვით-დიფუზიის და პროტონის რელაქსაციური კვლევებით არის შესწავლილი არაიონური პოლიოქსიეთილენური ზან-ები [128]. იონურ სისტემებთან შედარებით, სისტემა უფრო რთულია და მიცელები იცვლება ტემპერატურის, კონცენტრაციისა და პოლარული თავური ჯგუფების ზომების მიხედვით. აღნიშნული კვლევით გამოვლინდა, რომ სფერული ფორმის მიცელების წარმოქმნა პირდაპირ პროპორციულ კავშირშია ეთილენის ოქსიდის ჯაჭვის სიგრძესთან. გარდა ამისა, რაც უფრო მაღალია ტემპერატურა, ეთილენური ოქსიდისა და წყლის ურთიერთქმედება ნაკლებად ხდება და უპირატესობა ენიჭება ეთილენის ოქსიდს - ეთილენის ოქსიდის ურთიერთქმედებას. მაღალ ტემპერატურაზე ეთილენური ოქსიდის ჯაჭვებს შორის განზიდვა სუსტდება, მიცელის ზედაპირზე პოლარული

ჯგუფების ფართობი მცირდება და უპირატესად დიდი ზომის აგრეგატების წარმოქმნას აქვს ადგილი ენტროპიის ეფექტის გამო [129].

ფურიეს ტრანსფორმის პულს-გრადიენტის სპინური ^1H NMR ტექნიკის გამოყენებით, შესწავლილი იყო წყალი/არაიონური ზან/ნახშირწყალბადური მიკროემულსიური სისტემის სტრუქტურა მოლეკულური თვით-დიფუზიური კოეფიციენტის გაზომვით ლიპოფილურ-ჰიდროფილური ბალანსის (HLB) პირობებში. სისტემის სტრუქტურა მნიშვნელოვნად იცვლება ტემპერატურის მცირე ცვლილებითაც კი. დაბალ ტემპერატურაზე შეიძლება არსებობდეს ზეთი წყალში სტრუქტურა, მაშინ როცა მაღალ ტემპერატურაზე სტრუქტურა შეიძლება იყოს წყალი-ზეთში ტიპის. HLB ტემპერატურაზე სისტემის მიკროსტრუქტურა არის ურთიერთუწყვეტი წყალი-ზეთის თანაფარდობის ფართო ზღვრებში. მიკროემულსიის სტრუქტურა შედგება ფენებისგან, სადაც ერთმანეთს ცვლის წყლის და ნახშირწყალბადის ფენები, რომლებიც ერთმანეთისგან გამოყოფილია ზან-ის მონოშრით. სტრუქტურა დინამიური და მოქნილია, შესაბამისად, ზან-ის ფენები ასოცირდება და დისოცირდება ძალიან სწრაფად [130].

2.4.3. შებრუნებული მიცელების სტრუქტურის კვლევის კონდუქტომეტრიული მეთოდი.

მიკროემულსიურ ნაწილაკებს შორის დაჯახებები ხშირად მიცელის მონოშრის მთლიანობაზე ახდენს გავლენას. სწორედ ამიტომ მიკროემულსიების ელექტრული გამტარობის შესწავლა (კონდუქტომეტრია) მიკროემულსიების კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მეთოდს წარმოადგენს. ელექტრული გამტარობა განსაკუთრებულად მგრძნობიარეა წვეთების აგრეგაციის მიმართ [131]. წყალი-ზეთში მიკროემულსიაში წვეთის მოცულობითი წილის ზრდით ელგამტარობის მკვეთრ ზრდას პერკოლაცია ეწოდება [132]. მიკროემულსიების დინამიურ ბუნებაზე დაფუძნებული თეორიული

მოდელის მიხედვით, არსებობს ორი ფსევდოფაზა. პირველი, სადაც მუხტის ტრანსპორტირება მიკროემულსიური წვეთების დიფუზიით ხდება და მეორე - სადაც ცვლილება ხდება შებრუნებულ მიცელურ კლასტერებში თავად მუხტის მატარებელის დიფუზიის შედეგად. პერკოლაციის ასახსნელად მოწოდებულია სტატიკური და დინამიური პერკოლაციის ცნება. დინამიური პერკოლაციის მოდელში მთელი პროცესი მოიცავს ორი წვეთის დიფუზიურ ურთიერთქმედებას, რომელსაც ახლავს წყვილის წარმოქმნა, ხოლო სტატიკური პერკოლაცია დაკავშირებულია ურთიერთუწყვეტ მიკროემულსიასთან. დადგენილია, რომ მიკროემულსიურ სისტემაში წყლის შემცველობის ზრდით, გამტარობა იზრდება, წვეთები ერთიანდება კლასტერებად და ხდება იონების დიფუზია ან წვეთების შემცველობის მიმოცვლა. წვეთების კლასტერებად გაერთიანება იწვევს მიკროემულსიებში გამტარობის პერკოლაციას [131]. ელექტრული გამტარობის პერკოლაციაზე, გარდა მიკროემულსიის შედგენილობის და ტემპერატურისა, AOT-ის შებრუნებულ მიცელებში ელექტრული გამტარობის პერკოლაციაზე გავლენას ახდენს მასში სხვადასხვა ტიპის და რაოდენობის არაიონური ზან-ების დამატება, გამხსნელის ბუნება და სხვადასხვა დანამატი [133-137].

შებრუნებული მიცელების ელექტრულ გამტარობაზე გავლენას ახდენს ზან-ის მონომრის სტრუქტურა. AOT-ის და Brij-30-ს საფუძველზე მიღებული შერეული მიცელებისათვის, გამტარობის მაქსიმუმი მცირდება AOT-ის შემცველობის შემცირებით. ეს გამოწვეულია იონური ზან-ის რაოდენობის შემცირებისას, ნატრიუმის იონების რაოდენობის შემცირებით [134]. სისტემაში სხვადასხვა ბუნების არაიონური ზან-ების დამატებით იცვლება სოლუბილიზაციის ტევადობა, კერძოდ დიდი თავური ჯგუფების არაიონური ზან-ების დამატებისა (Brij-30; Brij-35; Brij-56; Brij-58, Brij-76; Brij-78) ამცირებს W-ს იმ მნიშვნელობას, რომელზეც ხდება ფაზების გაყოფა. ხოლო, იგივე სისტემაზე პატარა თავური ჯგუფების შემცველი Brij-ების დამატებისას (Brij-52 და Brij-72) სოლუბილიზაციის ტევადობა იზრდება [133].

პერკოლაციის ფენომენის შესწავლის მიზნით, მიტრას და პოლის მიერ [135-137], გამოკვლეულია სხვადასხვა შედგენილობის შერეული მიცელები. გამხსნელად გამოიყენეს იზოპროპილ მირისტატი (IPM), რომელიც სხვა გამხსნელებთან შედარებით ხასიათდება მაღალი სიბლანტით. აღმოჩნდა, რომ AOT/IPM/წყალი სისტემა არაპერკოლირებადია. თუმცა სისტემაზე არაიონური ზან-ის დამატება (Brij-56 და Brij-58) მუდმივ ტემპერატურულ პირობებში (303 K) იწვევს W-თი ინდუცირებული გამტარობის პერკოლაციას. ზღვრული პერკოლაცია (W_p) დამატებული არაიონური ზან-ის ტიპზე, მის მოლურ წილზე და თავური ჯგუფების კონფიგურაციაზეა დამოკიდებული. ზღვრული პერკოლაცია (W_p) მცირდება შერეული ზანების სრული კონცენტრაციის გაზრდით. შებრუნებულ მიცელურ სისტემებში წვეთების რიცხვი იზრდება ზან-ის კონცენტრაციის მკვეთრი ზრდით, შედეგად ადგილი აქვს პერკოლაციის დაჩქარებას. აღსანიშნავია, რომ შერეული ზანების სისტემებისთვის, მუდმივ ტემპერატურაზე, ზღვრული პერკოლაცია იზრდება ელექტროლიტის (NaCl) დამატებისას [128].

გამტარობაზე ტემპერატურის გავლენით გამოიკვეთა სამი უბანი ესეხია: პრე-პერკოლაცია, პერკოლაცია და პოსტ-პერკოლაცია. პრე-პერკოლაციის და პოსტ-პერკოლაციის უბანში გამტარობის აქტივაციის ენერგია არის დაბალი. აღმოჩნდა, რომ პერკოლაციის აქტივაციის ენერგია (E_p) პოლიოქსიეთილენურ ჯაჭვებზეა დამოკიდებული. მოკლე ჯაჭვების მქონე არაიონურ ზან-ებს დაბალი აქტივაციის ენერგია ახასიათებთ, ხოლო მათგან განსხვავებით, აქტივაციის მაღალი ენერგია გააჩნიათ დიდი რაოდენობით პოლიოქსიეთილენური ჯგუფების შემცველ ზან-ებს (მაგ., Brij-35).

სისტემაში სხვადასხვა ბუნების დანამატების შეტანა გავლენას ახდენს W_p -ს და T_p -ს მნიშვნელობაზე. მიკროემულსიურ სისტემაში ტოლუოლის, შარდოვანას, ნატრიუმის ქოლატის, ქოლესტერილ აცეტატის, ქოლესტერილ ბენზოატის, პოლიბუტადიენის, საქაროზას ესტერების ან/და ფორმამიდის დანამატების შეტანა T_p -ს მნიშვნელობას ამცირებს. ხოლო ნატრიუმის ქლორიდის ან ეთილენგლიკოლის

შეტანა ზრდის Tp-ს AOT/Brij-56-ისა და AOT/Brij-58-ის საფუძველზე მომზადებული სისტემისათვის [136].

2.4.4. ულტრაიისფერი-ხილული სპექტროსკოპია. შებრუნებული მიცელების გულის მიკროგარემოს კვლევა შესაძლებელია ულტრაიისფერ-ხილული სპექტროსკოპული მეთოდით, ოპტიკური სინჯების გამოყენებით. მეთოდი უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა ზან-ის იონურ ცენტრთან ახლოს წყლის აგრეგატის სტრუქტურის შესასწავლად. ოპტიკური სინჯის შერჩევის ერთ-ერთი მთავარი პირობაა, რომ ის არ უნდა არღვევდეს სისტემას, უნდა ლოკალიზდებოდეს აგრეგატის გულში და უნდა იყოს მგრძობიარე სისტემაში მიმდინარე ცვლილებების მიმართ [138].

AOT-ის და Brij-30-ის შებრუნებული მიცელების მიკროგარემოს შესასწავლად წარმატებით არის გამოყენებული სხვადასხვა ოპტიკური სინჯი, მაგალითად: ამინები [139], მეთილნარინჯი (MO), მეთილენის ლურჯი (MB) [140-142], 1-მეთილ-8-ოქსიქინოლინ ბეტაინი (QB) [138, 143, 144] პირანინი (POH) [82], აკრიდინ ნარინჯი AO [143], სინთეზური კაროტენოიდები: ეთილ 6'-აპო-β-კაროტენ -6'- ოატი, 6'-აპო-β-კაროტენ -6'- ოლი და 6'-აპო-β-კაროტენ -6'- ოიკის მჟავა [145], ფენოლები [162] და ნიტროანილინები (o-NA, pNA, mNA,) [146-150].

უი-ხილული სპექტრომეტრული მეთოდით კვლევა მოლეკულური სინჯის აკრიდინ ნარინჯის AO საშუალებით მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა მიკროემულსიების დასახასიათებლად [143]. კვლევის თანახმად AO-ის აბსორბციული სპექტრი წყალში [151], როდესაც $\text{pH} < 10$ (კათიონური ფორმა, AOH^+), აჩვენებს ორ ჯგუფს, 468 და 490 ნმ-ზე, რომლებიც შეიძლება ეკუთვნოდეს დიმერს ან მონომერს, სპეციფიურობის შესაბამისად. როდესაც $\text{pH} < 10$ (საბაზისო ფორმა) მხოლოდ მონომერის ჯგუფია წარმოდგენილი. ამგვარად, მხოლოდ AOH^+ -ია სპეციფიური, რათა განიცადოს დიმერიზაციის პროცესი. წყლის გულიან შებრუნებულმა მიცელურმა სისტემამ, შეიძლება განიცადოს კიდევ ოთხი ტიპის

პროცესი: 1) განაწილება ორგანულ ფაზასა და მიცელარულ ზედაპირს შორის; 2) პროტონირება AOH^+ ; 3) AOH^+ -ის დიმერიზაცია და 4) გადასვლა დიმერიდან მონომერში. AO-ის AOT-ში სპექტრი აჩვენებს თავდაპირველად, n-ჰექსანში მყოფი თავდაპირველი ჯგუფების გაუჩინერებას (λ_{max} 417 ნმ) და დიმერული ჯგუფის გაჩენას 462 ნმ-ზე. მონომერული ჯგუფი ჩნდება $[\text{AOT}] > 3.4 \times 10^{-4} \text{M}$ -ზე. ადგილი აქვს იზოსბესტიკურ განლაგებას 427 და 467 ნმ-ზე. ფლუორესცენტული სპექტრი აჩვენებს დიმერის ჯგუფს 644 ნმ-ზე AOT-ის მცირე კონცენტრაციაზე და მონომერულ ჯგუფს 544 ნმ-ზე. სხვა ჯგუფებზე, უწყლო მიკროემულსიაში, AOH^+ არ აღმოჩნდა და მხოლოდ AO-ის ორ ფსევდოფაზას შორის განაწილება დაიკვირვება [152].

QB- როგორც ოპტიკური სინჯი გამოყენებული სხვადასხვა ბუნების ზან-ების შებრუნებულ მიცელებში მიკროგარემოს შესასწავლად. მისი შთანთქმის სპექტრის საშუალებით, სუფთა გამხსნელში განსხვავებული გახსნილი ნივთიერებისა და გამხსნელის ურთიერთქმედების ახსნა გახდა შესაძლებელი კამლეტის და ტაფტის სოლვატოქრომული შედარების მეთოდით [153]. QB ცვიტერიონური ბუნების გამო მკაცრად ჰიდროფილურია. ამის გამო მდებარეობს აგრეგატის წყლიან გულში და ძალიან მგრძნობიარეა სისტემის მიკროპოლარობის მიმართ. ამის გამო შეირჩა QB, როგორც ოპტიკური AOT/ბენზენი მიკროემულსიის შიგა ზედაპირის მიკროპოლარობის, აგრეგაციისა და მიკროპოლარობაზე წყლის მოცულობის ეფექტის შესასწავლად [143].

სილბერის ჯგუფმა ოპრიკურ სინჯად QB-ის გამოყენებით განსაზღვრეს, რომ შებრუნებული მიცელის მიკროგარემოს პოლარობაზე მიუთითებს ხილულ უბანში მდებარე შთანთქმის ზოლი (B1), ხოლო ზოლი (B2) ულტრაიისფერ უბანში წყალბადური ბმის ურთიერთქმედების მაჩვენებელია. B2 ზოლის ინტენსიურობა მცირდება, წყალბადური ბმის წარმოქმნის გაძლიერებასთან ერთად B1 ზოლთან შედარებით. რადგან გარემოს წყალბადური ბმის დონორული თვისებების მიმართ B2 ზოლი უფრო მეტადაა მგრძნობიარე. შესაბამისად, სინჯის მიკროგარემოს თვისებების განსაზღვრის მიზნით, B2 და B1 ზოლების შთანთქმის თანაფარდობა,

შთანთქმის ზოლების წანაცვლებასთან ერთად აქვთ გამოყენებული. აღნიშნული ოპტიკური სინჯით შესწავლილია ანიონური ზან-ების Brij-30-ისა და $C_{12}E_5$ -ის მიცელები სხვადასხვა არაპოლარულ გამხსნელში, ასევე გამოკვლეულია ბენზილ- n -ჰექსადეცილ დიმეთილ ამონიუმის ქლორიდის (BHDC) კატიონური შებრუნებული მიცელები ბენზოლში და შედარებულია ანიონური ზან-ის AOT-ის ბენზოლში და ჰექსანში წარმოქმნილ სისტემებთან. გამოკვლეულია შთანთქმის ზონების წანაცვლებები და ამ ზონების აბსორბციების თანაფარდობა, როგორც ზან-ის კონცენტრაციის და W -ს ფუნქცია. აღმოჩნდა, რომ როდესაც $W=0$, ფაზათაშორისი პოლარობა, AOT/ჰექსანში და AOT/ბენზოლში ერთნაირია და განსხვავდება BHDC/ბენზოლში სისტემის პოლარობისგან, რომელიც მეტად უმნიშვნელოა. თუმცა BHDC/ბენზოლში სისტემის პოლარობა საკმაოდ მცირეა. ზან-ის პოლარული თავების სრული ჰიდრატაციისას ($W>10$), ანიონური და კატიონური ზან-ები ავლენენ მსგავს თვისებებს. ხოლო, არაიონური ზან-ები ალიფატურ ნახშირწყალბადებში ავლენენ განსხვავებულ თვისებებს. მათი მიკროპოლარობა უფრო მაღალია სისტემებში, სადაც $W=0$, ვიდრე იონური ზან-ის სისტემაში, რაც მაჩვენებელია იმისა, რომ QB-სა და ამ ზან-ების თავისუფალ OH ჯგუფებს შორის წყალბადური ბმის წარმოქმნა არის გადამწყვეტი ფაქტორი, რაც გავლენას ახდენს მიკროგარემოზე. მიუხედავად ამისა, ყველა შესწავლილ სისტემაში შესაძლო მაქსიმალურ W -ზე, QB-ს პოლარობა ვერ აღწევს სუფთა წყლის პოლარობას, ანუ ვერ აღწევს მოცულობითი წყლის ფაზას, რომელიც ჭარბობს მიცელის გულში [138].

გამომდინარე იქიდან, რომ POH დამუხტულია უარყოფითად და ძლიერ ჰიდროფილურია განთავსდება აგრეგატის გულში არსებული წყლის წვეთში. ამ ფაქტორის გათვალისწინებით არის გამოყენებული, როგორც ოპტიკური სინჯი AOT-ის საფუძველზე მომზადებული მიკროემულსიის შესასწავლად. მნიშვნელოვანია გარემოება, რომ POH ლოკალიზდება აგრეგატის წყლის წვეთში ისეთ პირობებში, როცა შებრუნებული მიცელის რადიუსი, ძლივს აღემატება სინჯის ეფექტურ

რადიუსს (POH-ის რადიუსი არის 30 ანგსტრემი). ეს დაშვება დადასტურებულია რამდენიმე ექსპერიმენტით [82].

MO-სა და MB-ს აბსორბციული სპექტრების დახმარებით გამოკვლეულია TX-100/ნ-ჰექსანოლი/ ციკლოჰექსანი/ წყალი სისტემის მიკროგარემო. მიუხედავად იმისა, რომ MO-ს სოლვატოქრომული ქცევა გამოყენებული იყო პოლარული გულის მიკროპოლარობის შესასწავლად, ძლიერი ურთიერთქმედება MB-სა და TX-100-ს შორის და მისი მგრძობელობა პოლარულ გულში არსებული წყლის მიმართ გამოყენებულია პოლარული გულის მიკროგარემოს გამოსაკვლევად. TX-100-ის შებრუნებულ მიკროემულსიაში განსხვავებული მოცულობებით შეტანილი წყლის პირობებში მიღებული MO-სა და MB-ს აბსორბციული სპექტრული მონაცემების საშუალებით დადასტურებულია სამი ტიპის წყლის არსებობა აგრეგატის პოლარულ გულში, ესენია: პირველადი ბმული წყალი, მეორეული ბმული წყალი და წყლიანი გულის ცენტრში მდებარე თავისუფალი წყალი. აღმოჩნდა, რომ MB შებრუნებული მიკროემულსიის გულში იმყოფება ორი, წონასწორობაში არსებულ ბმული და თავისუფალი ფორმის სახით, აგრეგატში არსებული მეორეული ბმული წყალი და თავისუფალი წყალი იწვევს წონასწორობულ გადანაცვლებას MB-ს ბმულიდან თავისუფალ ფორმაში. უწყლო მიცელაზე წყლის დანამატი პირველ რიგში ახდენს TX-100-ის EO ჯაჭვის ჰიდრატაციას და წარმოადგენს პირველად ბმულ წყალს, რაც გამოიხატება MO-ს λ_{max} -ის თითქმის წრფივ ზრდაში წყლის მოცულობის ზრდით. მეორადი ბმული წყლის შრე ჩნდება, როდესაც W -ს მნიშვნელობა მიაღწევს 1.8-ს. ამის შემდეგ, ხდება MO-ს λ_{max} -ის ზრდის შენელება მანამ, სანამ თავისუფალი/ბმული ფორმების ფარდობის მნიშვნელობა არ გაიზრდება. თავისუფალი წყლის გულის ფორმაცია იწყება, როდესაც W -ს მნიშვნელობა მიაღწევს 5.3. ამის შემდეგ წყლის დამატება ვეღარ ახდენს გავლენას MO-ს ან MB-ს λ_{max} -ის ცვლილებაზე და თავისუფალი/ბმული ფორმების თანაფარდობა სტაბილური რჩება [142].

2.4.4.1. ნიტროანილინები როგორც ოპტიკური სინჯები

ხსნარისთვის, ორგანიზებულ ჩანართებსა და გამხსნელს შორის განაწილებაზე პასუხისმგებელ მთავარ მამოძრავებელ ძალად ითვლება ჰიდროფობური ეფექტი და წყალბადური ბმებით ურთიერთკავშირი [154]. თუმცა სხვა ეფექტებიც, როგორცაა ქიმიური და ელექტროსტატიკური ურთიერთქმედებები, უნდა იყოს გათვალისწინებული, როდესაც დამუხტულ [155] ან ცვიტერიონურ მოლეკულაზეა ლაპარაკი [156].

ამ სუპრამოლეკულარულ სისტემებში, შეტანილი ოპტიკური სინჯი შეიძლება ლოკალიზებული იყოს მიკროგარემოს სხვადასხვა ნაწილში, კერძოდ ორგანულ გამხსნელში, წყლის გულში ან მიცელის ზედაპირზე. აგრეგატში მოლეკულური სინჯის ადგილმდებარეობის გაგებით, შეგვიძლია მივიღოთ ინფორმაცია ბიოლოგიურ სისტემებში მათი ადგილმდებარეობის შესახებ [46].

განვიხილოთ ნიტროანილინების სერიის: p-ნიტროანილინის (pNA); ორთო-ნიტროანილინის (oNA); 2,4-დინიტროანილინის (dNA), N,N-დიმეთილ-p-ნიტროანილინის (N,NpNA) და წყლის დანამატის, AOT /n-ჰექსანის საფუძველზე მომზადებულ შებრუნებულ მიცელასთან ურთიერთქმედება, ასევე გავანალიზოთ გამხსნელი-გახსნილი ნივთიერების ურთიერთქმედება ამავე სისტემაში და ვიმსჯელოთ არიან თუ არა ნიტროანილინები, კარგი არაწრფივი ოპტიკური სინჯები [155]. ამ მოლეკულის წყალბადური ბმების დონორული და აქცეპტორული თვისებები გავლენას ახდენენ აგრეგატების მიმართ მათი მდებარეობის ამოცნობაში [154].

ნიტროანილინები შესასწავლად ძალიან მოხერხებული ხსნადი ნივთიერებებია, რადგან მათი მიცელასთან შეკავშირების მუდმივები შეიძლება განისაზღვროს სპექტრომეტრულად აბსორბციის მონაცემის საშუალებით. მოლეკულებს შორის განსხვავება ორ სოლუბილიზირებულ გარემოში გვამლევს რაოდენობრივი შეფასების საშუალებას - თავისუფალ მდგომარეობაშია თუ შებმულია მიცელასთან. მეთოდი არის მარტივი და არ აწვდის სისტემას.

რათქმუნდა ეს შეიძლება გამოვიყენოთ მხოლოდ სისტემებისთვის, რომლებშიც სინჯის მიცელარულ ხსნარებთან შერევას თან ახლავს შესაბამისი სპექტრული ცვლილებები [156].

საყოვეთაოდ აღიარებული ფაქტია, რომ ხსნარის ელექტრული სპექტრი დამოკიდებულია გამხსნელის პოლარობაზე. შებრუნებულ მიცელებში ხსნარის პოლარობა დამოკიდებულია მიცელის გულში სოლუბილიზაციაზე. აქედან გამომდინარე, ამ ტიპის კვლევამ შეიძლება ინფორმაცია მოგვცეს განსხვავებული მონაკვეთების დასახასიათებლად, რომლებიც უზრუნველყოფენ განსხვავებულ, ცნობილ გარემოში სინჯის სპექტრულ ქცევას.

მიკროემულსიურ სისტემებში ოპტიკური სინჯი-გახსნილის ურთიერთკავშირის განხილვა ხდება ტრაფტის და კამლეტის სოლვატოქრომული შედარების მეთოდით [157] სუფთა გამხსნელებში. ინტერპრეტაციისთვის გამოყენებული სპექტრული ცვლილებები, უმთავრესად წყალბადური ბმების ურთიერთქმედებები და მიკროგარემოს პოლარობა-პოლარიზებულობის ეფექტი, როგორც სპეციფიური ურთიერთქმედების ფუნქცია.

გამხსნელის გავლენა ფიზიკურ და ქიმიურ პროცესებზე, შესწავლილია გამხსნელის ემპირიული პარამეტრის მნიშვნელობით, რათა დადგინდეს, თუ რა ტიპის ურთიერთქმედებაა დომინანტური ამ ეფექტში. ყველაზე ფართოდ გავრცელებული მიდგომა, რომელიც ნათელს ხდის და რაოდენობრივად საზღვრავს სხვადასხვა ხსნარი-გამხსნელის ურთიერთქმედებას, არის კამლეტ-ტაფტის სოლვატოქრომული შედარების მეთოდი [157]. ამ მეთოდის მიხედვით მშთანქმელი ჯგუფების სიხშირე ν , შეიძლება თანხვედრაში მოვიყვანოთ შემდეგი განტოლებით

$$\nu = \nu_0 + s\pi^* + a\alpha + b\beta$$

სადაც π^* არის გამხსნელის პოლარობა/ პოლარიზებულობის ინდექსი, α და β საზღვრავს გამხსნელის უნარს შესაბამისად, დონორია თუ აქცეპტორი, ოპტიკურ სინჯსა და გამხსნელს შორის დამყარებულ წყალბადურ ბმებში. s , a და b კოეფიციენტები საზღვრავენ ν -ს დამოკიდებულებას აღნიშნული გამხსნელის

მგრძნობელობაზე. შესწავლილია pNA-ის[146], oNA-ისა [146, 158] და N,NpNA-ის[159] ქცევა სუფთა გამხსნელთან მიმართებაში. მიღებული შედეგები აღწერილია (2), (3) და (4) განტოლებებით.

$$v(pNA)^{24} = (31.17 \pm 0.04) - (3.25 \pm 0.03)\pi^* - (0.39 \pm 0.02)\alpha - (3.02 \pm 0.03)\beta \quad (2)$$

r=0.9936

$$v(oNA)^{24,25} = (26.57 \pm 0.03) - (1.75 \pm 0.06)\pi^* - (1.05 \pm 0.06)\beta \quad (3)$$

r=0.9987

$$v(N, NpNA)^{26} = (28.05 \pm 0.03) - (3.33 \pm 0.02)\pi^* - (0.56 \pm 0.03)\alpha \quad (4)$$

r=0.9923

როგორც აღმოჩნდა pNA-თვის ბატოქრომული გადანაცვლება დაიკვირვება, როდესაც π^* გაიზრდება, იმის მიხედვით, თუ სად უფრო დიდია დიპოლური მომენტი აგზნებულ ნაწილში ($\mu_{ex} = 13.28D$), თუ ძირითად ნაწილში ($\mu_g = 6.2D$) [146]. ხ-ს მნიშვნელობა გვიჩვენებს, რომ ჯგუფის ბატოქრომული გადანაცვლება ხდება წყალბადური ბმის აქცეპტორული თვისებით გამხსნელის NH ჯგუფის წყალბადური ბმის ძლიერი დონორული უნარის გამო.

ანალოგიურად oNA-სთვის, ბატოქრომული გადანაცვლება ხდება როდესაც π^* იზრდება, მიუხედავად იმისა, რომ უფრო მცირე დიაპაზონში ვიდრე pNA-ის შემთხვევაშია მოსალოდნელი, განსხვავება μ_{ex} და μ_g -ს შორის არის მცირე [146]. oNA-ისთვის და pNA-ისთვის ხ-ს მნიშვნელობების განსხვავება შეიძლება აიხსნას იმ ფაქტით, რომ oNA-ური ფორმის შიდამოლეკულურ წყალბადურ ბმაში მონაწილეობს მხოლოდ ერთი წყალბადი, ამიტომ ხ-ს მნიშვნელობა არის დაახლოებით ნახევარი pNA- თან შედარებით.

მიუხედავად იმისა, რომ N,NpNA-ში ვლინდება π^* პარამეტრის ძლიერი ეფექტი, მსგავსი, როგორც ეს pNA-შია, არ ფიქსირდება β პარამეტრთან კორელაცია, როგორც მოსალოდნელი იყო, რადგანაც არ გააჩნია NH ჯგუფი.

მეორე მხრივ, სენსიტიურობის კოეფიციენტი, α , მხოლოდ pNA-სა და N,NpNA -ისთვის გვიჩვენებს, გამხსნელის წყალბადური ბმის მცირე გავლენას α პარამეტრზე.

α-ს უარყოფითი მნიშვნელობა შეიძლება მიეწეროს წყალბადური ბმის წარმოქმნას გამხსნელსა და ნიტრო ჯგუფს შორის.

კამელის და ტრაფტის სოლვატოქრომული შედარების მეთოდით მიღებული π^* , α და β მნიშვნელობების კორელაცია ლიტერატურულ მონაცემებთან [166] მოცემულია მეხუთე გამოსახულებაში (5).

$$\nu(dNA) = (31.25 \pm 0.14) - (2.52 \pm 0.25)\pi^*(1.73 \pm 0.25)\beta \quad (5)$$

სადაც $r=0.981$ და ნდობის ინტერვალი შეადგენს 95%.

როგორც ჩანს, ის არის ნაკლებად მგრძობიარე გამხსნელის პოლარობისადმი, ვიდრე pNA და N,NpNA. მიუხედავად ამისა, ეს ნაერთი ქმნის შიდამოლეკულურ წყალბადურ ბმას NH და ორთო ნიტრო ჯგუფს შორის, ხ არის უფრო დიდი ვიდრე o-NA-ისთვის. ეს შეიძლება ადვილად აიხსნას იმის გათვალისწინებით, რომ dNA -ის დამატებით ნიტრო ჯგუფი პარა მდგომარეობაშია ამინო ჯგუფთან, რაც ზრდის მის წყალბადური ბმის დონორულ უნარს.

pNA-ის ინტენსივობა $\lambda_{max}=318$ ნმ-ზეა ($\log \epsilon = 4.02$) დამახასიათებელია ჰექსანში, რომელიც მცირდება AOT-ის კონცენტრაციის ზრდისას და ჩნდება ახალი პიკი $\lambda_{max} = 358$ ნმ. ეს პიკი შეიძლება ეკუთვნოდეს pNA -სა და AOT-ის პოლარულ თავებს შორის წარმოქმნილ წყალბადურ ბმას. როდესაც სისტემას არ აქვს დამატებული წყალი, მასში ფიქსირდება $W \approx 0.3$, რაც წარმოადგენს სისტემის შინაგან ტენიანობას. ეს წყალი იმდენად მჭიდროდ არის შეკავშირებული პოლარული თავების იონებთან, რომ არ შეიძლება იყოს ჩართული ნიტროანილინის შეკავშირებაში. ამ ფაქტს ამყარებს სისტემაზე წყლის დამატებით მიღებული შედეგი. მკაფიო იზოსბესტიკური წერტილი $\lambda = 334$ ნმ-ზე აჩვენებს, რომ მყარდება წონასწორობა pNA-ის თავისუფალ და ბმულ ფორმებს შორის. 0.1 მოლური AOT-ის კონცენტრაციის შემდეგ, აბსორბციის სპექტრები უცვლელი რჩება. ამ კონცენტრაციაზე შეიძლება ჩაითვალოს, რომ pNA სრულად არის შებმული მიცელასთან, $\log \epsilon = 4.26$ 358 ნმ-ისთვის. იგივე ტენდენცია ფიქსირდება ფენოლები AOT-იზოქტანში და ნაფტოლები AOT-ჰექტანში შესწავლისას. ასეთ შებრუნებული

მიცელურ სისტემებში, როგორც ჩანს, ოპტიკური სინჯები ლოკალიზებულია ზედაპირზე, სადაც AOT-ისთან დაკავშირებულნი არიან წყალბადური ბმით.

სრულად ბმული pNA –ისთვის ფიქსირდება 40 ნმ-იანი წითელი წანაცვლება pNA-ის საწყისი სპექტრის მიმართ ნ-ჰექსანში. თუ მხედველობაში მივიღებთ კვლევას სუფთა გამხსნელში, წითელი წანაცვლება შეიძლება ინტერპრეტირდეს, როგორც მიცელის მიმართ ყველაზე უფრო პოლარულ ნაწილში ორგანულ გამხსნელთან, ასევე ზან-ის პოლარულ თავებთან, წყალბადური ბმის არსებობის შესაძლებლობა, ამდენად, pNA-ში წყალბადური ბმის წარმომქმნელი აქტიური ჯგუფი NH_2 ჯგუფია.

მსგავს მახასიათებლებს აჩვენებს მიცელურ სისტემაში o-NA-ს სპექტრი, როგორც AOT-ის კონცენტრაციის ფუნქცია. ნ-ჰექსანში o-NA-ის $\lambda_{\text{max}}=376$ ნმ-ს ($\log \epsilon = 3.73$), ახალი ჯგუფი წარმოიქმნება o-NA-ის შეკავშირებით AOT-თან $\lambda_{\text{max}} = 398$ -ზე, როდესაც AOT-ის კონცენტრაცია მიაღწევს 0.1M-ს, $\log \epsilon=3.74$. 382 ნმ-ზე ფიქსირდება იზოსბესტიკური წერტილი. შეკავშირებისას ბატოქრომული გადანაცვლება ხდება (22 ნმ-ზე), როდესაც ორგანული გამხსნელიდან გადადის მიცელაში, მაგრამ ნაკლებად მკაფიოდ ვიდრე pNA-ის შემთხვევაში. ეს არის თანხვედრაში გამხსნელის თვისებებთან. სუფთა გამხსნელში კვლევისას აღმოჩნდა, რომ o-NA ავლენს ნაკლებ მგრძნობელობას პოლარობისა და გარემოს წყალბადური ბმის აქცეპტორული უნარისადმი.

ანალოგიურად, შთანთქმის სპექტრი ნ-ჰექსანში dNA-ისთვის გვიჩვენებს $\lambda_{\text{max}}=310$ ნმ ($\log E = 4.19$), AOT-ის დამატებისას ჩნდება dNA-თან სრულად ბმული ჯგუფი - $\lambda_{\text{max}} = 334$ ნმ-ზე ($\log c = 4.23$). იზოსბესტიკური წერტილი ფიქსირდება 323 ნმ-ზე. შეკავშირების მასშტაბის ცვლა თავისუფალი და შეკავშირებულ dNA-ის ფორმებს შორის ასახავს შუალედურ მდგომარეობას pNA-სა და o-NA-ს შორის.

მეორეს მხრივ, N,NpNA-ს სპექტრი ოდნავ იცვლება AOT-ის კონცენტრაციაზე. აქ არ ხდება იზოსბესტიკური წერტილის გაჩენა და მხოლოდ ბატოქრომული წანაცვლება დაიკვირვება. როგორც ჩანს, არ ხდება ფაზის გამოყოფა მიცელის ზედაპირსა და

ორგანულ გარემოს შორის. ამგვარად, NH ჯგუფის არ ქონის გამო, N,NpNa არის ტიპიური არა წყალბადური ბმის, დონორული პოლარობის მაჩვენებელი.

მას შემდეგ, რაც ნიტროანილინები არსებული NH ჯგუფით, შეკავშირდებიან AOT -თან, ჩვენ შეგვიძლია შევაფასოთ შეკავშირების მუდმივების (K_b) მნიშვნელობა ამ ასოციაციის მეშვეობით. K_b -ის გამოთვლა შეგვიძლია განტოლების (განტოლება 6) გამოიყენებით, იმ დაშვებით [160, 161], რომ თვითოეული მიცელის სუბსტრაქტის მოლეკულების საშუალო რაოდენობა არის დახასიათებული პუასონის განაწილების ფუნქციით: საერთო K_b უდრის nK_n , სადაც K_n არის მუდმივი ასოციაციის ყველა საფეხურისთვის.

$$\frac{[S_b]}{[S_f]} = K_b[AOT] \quad (6)$$

ტერმინები $[S_b]$ და $[S_f]$ აღნიშნავენ სოლუბოლიზატის ბმულ და თავისუფალი კონცენტრაციას. $[AOT]$ არის ზან-ის საერთო კონცენტრაცია და არა აგრეგატების რაოდენობა, რადგან არ ფიქსირდება კანონზომიერება $[S_i]/[S_t]$ -სა და $[AOT]$ -ის წილს შორის. ვინაიდან ნიტროანილინებს შეუძლიათ, სუფთა გამხსნელში [163, 164] მტკიცე წყალბადური ბმებით შეკავშირებული კომპლექსის ფორმირება, პროტონის მიღებით, შეკავშირება დაიკვირვება კრიტიკულ მიცელაწარმოქმნის კონცენტრაციამდე და K_b -ის გამოსათვლელად მეექვსე ფორმულის გამოყენება სრულიად გამართლებულია.

ნიტროანილინების AOT-ისთან შეკავშირების მნიშვნელობის რაციონალიზაციისთვის ორი ფაქტორია გასათვალისწინებელი [162]: I) ნიტროანილინების სოლუბილიზაცია სფუთა ორგანულ გამხსნელში უმეტესად არასპეციფიური ურთიერთქმედების გამო და II) ნიტროანილინების წყალბადური ბმის დონორული შესაძლებლობა ზან-ის პოლარულ თავებთან შეკავშირებისას.

უნდა აღინიშნოს, რომ oNA, pNA და dNA ნ-ჰექსანში სოლუბილიზაციის პირველადი ეფექტი განსაზღვრულია 25°C-ზე და მიჰყვება შემდეგ რიგს: dNA < pNa <

oNA. აქედან გამომდინარე, ორივე ფაქტორი, როგორც ჩანს, ხელს უწყობს შეკავშირების სიმტკიცის დაფიქსირებას.

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ dNA-ს აქვს ერთი NH ჯგუფი, შეუძლია წყალბადური ბმის დამყარება oNA-ის მსგავსად. ამ ჯგუფს აქვს წყალბადური ბმების დამყარების უფრო მაღალი უნარი, რადგან ორი ნიტრო ჯგუფის წრეშია მოქცეული. უფრო მეტიც, ეს გახსნილი ნაწილაკები არიან ნაკლებ უნარიანი ნ-ჰექსანში. ამდენად, dNA-ს აქვს K_b -ის უფრო მაღალი მნიშვნელობა. ამ რიგის მიხედვით, K_b -ს oNA-ისთვის უფრო დაბალი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ვიდრე აღმოჩნდა. მეორე მხრივ, თუ შევადარებთ pNA-ს oNA-თან, პირველს აქვს წყალბადური ბმის უფრო მაღალი დონორული უნარი და ნაკლებად სოლუბილიზირდებოდა ნ-ჰექსანში, ვიდრე მეორეს, ამიტომ K_b -ს მნიშვნელობა pNA-ისთვის უფრო მაღალია ვიდრე oNA-ისთვის.

როდესაც წყალი ემატება AOT-ის ხსნარს ჰექსანში, სპექტრის ცვლილება დამოკიდებულია AOT-ის კონცენტრაციასა და წყლი/ზან-ის მოლურ თანაფარდობაზე (W). სპექტრული ცვლილება AOT-ის მზარდ კონცენტრაციასა და მზარდ W-ზე აჩვენებს მსგავს თვისებებს, ვიდრე, როდესაც $W=0$. ჯგუფების ინტენსივობა იმის გამო, რომ თავისუფალი ნიტროანილინი მცირდება და ახალი ჯგუფი წარმოიქმნება AOT-ის კონცენტრაციის ზრდისას, ბმები და თავისუფალი სუბსტრატის ჯგუფები იწვევენ λ_{max} -ის წანაცვლებას. როგორც აღმოჩნდა pNA-სა და dNA-ის K_b -ს მნიშვნელობები არ იცვლება წყლის დანამატისას, ექსპერიმენტის ცდომილების ფარგლებში. თუმცა, o-NA-ისთვის K_b მცირდება დაახლოებით 50 % - ით $W=0$ -დან 10-მდე გაზრდისას.

წყლის დამატებისას შეკავშირებული და თავისუფალი სუბსტრატების სპექტრული ცვლილების ხარისხობრივი ანალიზით, შეიძლება ნათელი მოეფინოს სინჯის ადგილმდებარეობას ამ სისტემაში. მოწოდებულია კვლევა pNA-ისა და oNA-ის გამოყენებით, რომელშიც თავისუფალი ნიტროანილინების წონასწორობისას მიცელურ სისტემაში, წანაცვლების გამოსავლენად გამოყენებულია AOT კონცენტრაციით 3×10^{-3} M. სუბსტრატის შეკავშირების სპექტრები გაანალიზებულია

0.15M AOT-ისთვის, სადაც შეკავშირება, როგორც ლიტერატურიდანაა ცნობილი პრაქტიკულად 100% შეადგენს[165].

კვლევა არ არის შესრულებული N,NpNA-ზე, რადგან, როგორც ავტორები განმარტავენ, ამ სინჯის გამოყენებისას არ ფიქსირდება წანაცვლება წყლის დამატებისას და dNA-ზე, რადგან ამ შემთხვევაში K_b მნიშვნელობები არის ისე მაღალი, რომ AOT-თან შეკავშირება დასრულებულია CMC-ს მნიშვნელობაზე [165].

როდესაც წყალი არის სოლუბილიზირებული, თავისუფალი ნიტროანილინების სპექტრული ცვლილებები ხასიათდება როგორც n-ჰექსანში, მათი λ_{max} pNA = 319 ნმ და λ_{max} oNA = 376 ნმ. ამდენად, ადგილი აქვს ჰიპსოქრომულ წანაცვლებას. ეფექტი უფრო მაღალია oNA-ის, ვიდრე pNA-ის შემთხვევაში. რადგან oNA-ს უფრო მეტი სოლუბილიზაციის უნარი აქვს n-ჰექსანში და უფრო სუსტ ბმებს ამყარებს ვიდრე pNA, ეს ხდის ამ სინჯს მეტად მიდრეკილს გადანაცვლდეს წყლის მიერ და განიდევნოს ორგანული გარემოსკენ. ეს ეფექტი თვალსაჩინოა, როდესაც $W \cong 10$, ამ დროს AOT-ის პოლარული თავები ჩართულია ჰიდრატაციის პროცესში.

სილბერის ჯგუფმა, ნიტროანილინების შეკავშირების მონაცემების გაანალიზებით დაადგინა, რომ მცირე ბატოქრომულ წანაცვლებას აქვს ადგილი pNA-ისთვის. რასაც მიაწერენ შიგაზედაპირის პოლარობის გაზრდას წყლის დამატებისას. ეს ეფექტი არ ვრცელდება oNA-ზე, რადგან არის ნაკლებად მგრძობიარე პოლარობის მიმართ, ვიდრე pNA. საინტერესო ფაქტია, რომ მაშინაც კი, როდესაც $W = 30$, o-NA-ს და pNA-ს შეკავშირებები არის ძალიან განსხვავებული წყლიანი მონაცემებისგან ($\lambda_{max} = 413.7$ nm და $\lambda_{max} = 380$ ნმ შესაბამისად), რომელიც ადასტურებს, რომ სინჯი მიდრეკილია ზედაპირთან შებმისკენ და არასდროს გვხვდება წყლის გულში არსებულ თავისუფალ წყალში. N,NpNA-ის მხოლოდ უმნიშვნელო ბატოქრომული წანაცვლება შეინიშნება AOT-ის კონცენტრაციის ზრდისას და არანაირი გავლენა არ შეიმჩნევა წყლის დანამატისას. ამ სისტემისთვის სხვა სინჯების გამოყენებისას მიცელური ზედაპირის პოლარობა იზრდება W-სთან ერთად. არ წარმოადგენს წყალბადური ბმების დონორს და არის მხოლოდ მცირედით ნაკლებ სენსიტიური

პოლარობის მიმართ, ვიდრე pNA. მეორეს მხრივ, მეტად სოლუბილიზირდება ნ-ჰექსანში ($7.6 \times 10^{-4} M$), ვიდრე pNA. ამ თვისებების გათვალისწინებით და იმ ფაქტით, რომ წყლის დამატება არ ახდენს გავლენას, ვარაუდობენ, რომ N,NpNA იმყოფება მიცელის ორგანულ ნაწილში, წყლიანი გულისგან დაშორებული. წყლის დამატებისას არ იცვლება მისი გარემო და მხოლოდ ორგანული ფაზის პოლარობის ცვლილებისადმი მგრძობიარე, AOT-ის დამატებისას.

ფაქტი, რომ N,NpNA არ ურთიერთქმედებს AOT-სთან გამოყენებულია მიკროგარემოს π^* -ს გამოსათვლელად. ამასთან, რადგან AOT-ს პრაქტიკულად არ აქვს მჟავური წყალბადი, α -ს მნიშვნელობა ჩავთვილია პრაქტიკულად 0-ის ტოლად და მე-4 განტოლებიდან გამომდინარე:

$$\pi^* = \frac{28.05 - \nu}{3.33} \quad (9)$$

π^* -ის მნიშვნელობა N9 განტოლებიდან მიღებულია $\lambda = 359,7$ ნმ-ზე, არის 0,075 და შესაბამისად ჰგავს ნ-დოდეკანის პოლარობას [166].

2.5. ჰოფმაისტერის სერია (ლიოტროპული რიგი)

სამეცნიერო წრეებში საუბრობდნენ იმაზე, რომ იონებს წყლის წყალბადური ბმის ბადის სტრუქტურაზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლიათ, თუმცა ჩემ მეცნიერ ფრანც ჰოფმაისტერამდე ამის გამოკვლევა ვერავინ შეძლო. 1888 წელს მან გამოაქვეყნა სერია, რომელიც წყალხსნარში არსებული ცილის თვისებებზე იონების ფარდობით გავლენას აფასებს და აღწერს იონების გავლენას წყლის სტრუქტურის ფორმირებაზე. მან აღმოაჩინა, რომ წყლის სტრუქტურის მომაწესრიგებელი უნარის ზრდასთან ერთად იზრდება მარილების მიერ ცილების დალექვის უნარი. ჰოფმაისტერის რიგი განსაზღვრავს იონების ჰიდროფობურობის სიძლიერეს [167].

ჰოფმაისტერის სერიაში იონები დაყოფილია ორ ჯგუფად. ერთ ჯგუფში გაერთიანებული იონები წყლის წყალბადური ბმის ბადის შეცვლის თითქმის ერთნაირი უნარით ხასიათდებიან. ქლორიდ-იონი, რომელიც ჰოფმაისტერის რიგში ნეიტრალურადაა მიჩნეული ამ ორ ჯგუფს ერთმანეთისგან ყოფს. მის მარცხნივ განლაგებულ იონებს ეწოდებათ კოსმოტროპები, ხოლო მარჯვნივ მდებარე იონებს კი ქაოტროპები.

ტერმინი „კოსმოტროპი“ სისტემის შემქმნელს ნიშნავს. ამ ჯგუფში გაერთიანებული იონები გამოლექვის, ძლიერი ჰიდრატირებისა და წყლის სტრუქტურის მოწესრიგების მაღალი უნარით ხასიათდებიან, აქვთ მასტაბილიზირებელი და გამომარილების ეფექტები ცილების და მაკრომოლეკულების სტრუქტურაზე. სტრუქტურის დამრღვევები „ქაოტროპებად“ მოიხსენიებიან, არღვევენ წყლის სტრუქტურას და იწვევენ ცილების დესტაბილიზაციას.

ტერმინები კოსმოტროპები და ქაოტროპები ჰიდროფობურობისა და ჰიდროფილურობის თვალსაზრისით განისაზღვრა, კოსმოტროპებისა და ქაოტროპების ეფექტურობა შეიძლება განსხვავდებოდეს გარემოებების ან განსაზღვრის მეთოდების მიხედვით. მაგალითად, შარდოვანა ზოგჯერ კოსმოტროპის, ზოგჯერ ქაოტროპის თვისებებს ავლენს. გასათვალისწინებელია

ტემპერატურისა და წნევის გავლენაც. მაღალი წნევის (0.6 გპა) შემთხვევაში Na^+ , რომელიც კოსმოტროპადაა მიჩნეული, ქაოტროპის თვისებებით გვევლინება, რადგან ზეწოლა წყლის ბმების გაწყვეტას იწვევს [168]. თუ ავიღებთ სხვადასხვა კონცენტრაციის ერთი და იგივე ხსნარს, ის განსხვავებულ შედეგებს მოგვცემს, ანუ ცვლილებების სიდიდე დამოკიდებულია სისტემაში არსებული კოსმოტროპული თუ ქაოტროპული დანამატების რაოდენობაზე. კოსმოტროპები იწვევენ ზედაპირული ფართობის შემცირებას, მაშინ როცა ქაოტროპებს აქვთ საწინააღმდეგო ეფექტი. ზოგადად კი დანამატები, რომლებიც აკუმულირდებიან ზედაპირზე, იწვევენ ზედაპირული დაჭიმულობის შემცირებას.

როგორც ცნობილია, ჰიდროფობური ნივთიერებების წყალში ხსნადობა მცირე ზომის იონების გავლენით მცირდება, ხოლო დიდი იონები ხელს უწყობენ არაპოლარული ნივთიერებების ხსნადობას. აღსანიშნავია, რომ ჰოფმაისტერის სერია არ კორელირებს იონური მუხტის სიმკვრივესთან. მიუხედავად იმისა, რომ ლითიუმი უფრო მცირე ზომისაა, ვიდრე ნატრიუმი, მისი ჰოფმაისტერული ეფექტი უფრო სუსტია.

წყლის სტრუქტურაზე იონების ეფექტი შესაძლებელია აიხსნას, ერთის მხრივ, იონი-წყალი ურთიერთქმედებით, რაზეც გავლენას ახდენს იონური მუხტის სიმკვრივე და მეორეს მხრივ, წყალი-წყალი ურთიერთქმედებით, რაზეც გავლენას ახდენს წყალბადური ბმა. იონების მუხტი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ჰოფმაისტერის სერიაზე. დიდი მუხტის იონები მცირე სიმკვრივით ხასიათდებიან, მაგალითად ტეტრაფენილ ბორატის ანიონი. ისინი უფრო სუსტად ურთიერთქმედებენ წყალთან, ვიდრე წყალი საკუთარ თავთან და ქაოტროპებს მიეკუთვნებიან. ხოლო იონები მცირე მუხტითა და დიდი სიმკვრივით კოსმოტროპებში ერთიანდებიან (SO_4^{2-} , HPO_4^{2-} , Mg^{2+} , Ca^{2+} , Li^+ , Na^+ , H^+ , OH^-), ისინი ამჟღავნებენ უფრო ძლიერ ურთიერთქმედებას წყალში არსებულ ბმებთან, ვიდრე წყალი-წყალთან [169].

რაც შეეხება ჰალოგენების განაწილებას ჰოფმაისტერის სერიაში, უნდა აღინიშნოს, რომ მათი კოსმოტროპული ეფექტი იონური ზომის ზრდასთან ერთად იზრდება F⁻, Cl⁻, Br⁻ და I⁻. [170].

კოსმოტროპებისა და ქაოტროპების კლასიფიკაციისთვის ხშირად გამოიყენება ჯონსი-დოლეს B დადებითი და B უარყოფითი კოეფიციენტი, რომელთაგან პირველით კოსმოტროპს აღნიშნავენ, მეორეთი კი ქაოტროპს.

კოსმოტროპები წყლის ზედაპირის ახლოს რჩებიან, ხოლო ქაოტროპები სიღრმეში იკარგებიან. საშუალოდ კატიონების გავლენა 1.06 Å, მაშინ, როცა ანიონების ეფექტურობა 1.78 Å-ს აღწევს. კოლინზმა ახსნა ისიც, რომ ანიონებს უფრო ძლიერი გავლენა აქვთ წყლის სტრუქტურის მოწესრიგებაზე, ვიდრე კატიონებს, რაც წყლის მოლეკულის ასიმეტრიულობით იხსნება. წყლის დიპოლის ორი ბოლო ცენტრიდან არ არის ტოლი მანძილით დაშორებული. უარყოფითი ბოლო უფრო ახლოს არის წყლის მოლეკულის ცენტრთან, ვიდრე დადებითი, რაც წყლის ზედაპირზე ანიონების უფრო ძლიერი მიზიდულობის მიზეზია, ისინი უფრო ძლიერ ელექტროსტატიკურ მიზიდულობას ამჟღავნებენ, ვიდრე კატიონები. სწორედ ეს ძლიერი ელექტრული ველი განაპირობებს მცირე იონების გარშემო წყლის დიპოლური მოლეკულების ჰიდრატულ შრეებად განლაგებას, რომელიც წყლის სტრუქტურისგან განსხვავებული აღნაგობის სისტემას გვაძლევს და მისი სიმკვრივე აღემატება წყლის სიმკვრივეს. სისტემის სიმკვრივის გაზრდა იონური ველის ელექტრული ეფექტის დამსახურებაა. ძირითადად, პირველი ჰიდრატირებული შრე იონების (იგულისხმება დიდი ერთ ვალენტური იონები) გარშემო ყალიბდება. მკვეთრად შესამჩნევი მეორე ჰიდრატული შრე კი წარმოიქმნება მაღალმუხტიანი იონების გარშემო. ჰიდრატირებული შრეების შესწავლის მიზნით გამოიყენება კომპიუტერული სიმულაციები. ერთ-ერთი ასეთი კვლევის მიხედვით მცირე ზომის კატიონები ახდენენ პირველი შრის ორიენტაციას ელექტროსტატიკური მექანიზმით და არღვევენ წყალბადურ ბმას პირველი შრის მოლეკულებს შორის. კატიონის ზომის ზრდით მცირდება იონის ელექტროსტატიკური ძალა წყალზე, რასაც ახლავს წყალი-წყალი წყალბადური ბმის


ურთიერთქმედება. მსგავსი გავლენა შეინიშნება ანიონის შემთხვევაშიც, მცირე ანიონების გარშემო წყლის სტრუქტურა კონტროლდება ელექტროსტატიკური მექანიზმით, მაშინ როცა წყლის სტრუქტურა დიდი ანიონების გარშემო კონტროლდება წყალბადური ბმით. დიდ ანიონებს აქვთ ისეთივე გავლენა წყლის სტრუქტურაზე, როგორც მცირე კატიონებს, რაც აიხსნება კოლინზის ჰიპოთეზით წყლის დიპოლში მუხტის ანიზოტროპული განაწილებით. მაგალითად, ფთორიდ-ანიონს და ლითიუმის კატიონს აქვთ ერთნაირი ეფექტი. მიუხედავად ფთორიდ-ანიონის დიდი ზომისა, წყლის დიპოლის ოპტიმალურ კონფიგურაციაში დადებითი ბოლო იგივე მანძილზეა ფთორიდ-ანიონის ცენტრიდან, როგორც დიპოლის უარყოფითი ბოლო დაცილებულია ლითიუმის იონის ცენტრიდან.

იონური ნივთიერებების გარდა კოსმოტროპული და ქაოტროპული ეფექტით არაიონური ნივთიერებებიც ხასიათდებიან. ეს უკანასკნელნი კარგად ჰიდრატირებადი მოლეკულები არიან აგრეგაციისადმი მცირე მისწრაფებით. მათ არ აქვთ მუხტი და წყალს ძლიერი წყალბადური ბმებით უკავშირდებიან, რაც ხსნარში მაკრომოლეკულების სტაბილიზაციას ზრდის. ისინი ცილების გარშემო წყლის დიფუზიას ამცირებენ. ქაოტროპები, წყლის წყალბადური ბმის ბადის დამრღვევები, მაკრომოლეკულებს მეტად სტრუქტურულ თავისუფლებას აძლევენ, ხელს უწყობენ ცილების გაფართოებას და დენატურაციას. არაიონური კოსმოტროპები არიან მასტაბილიზირებელი ნივთიერებები, ზრდიან წყლის მოწესრიგებულობის ხარისხს (მაგ., გლუკოზა, ტრეჰალოზა, ტრიმეთილამინ Nოქსიდი, გლიცინ ბეტაინი და სხვ.), მაშინ როცა ქაოტროპები წარმოქმნიან სუსტ წყალბადურ ბმას, ამცირებენ წყლის მოწესრიგებულობას, ზრდიან ზედაპირულ დაჭიმულობას და ახდენენ მაკრომოლეკულების დესტაბილიზაციას (მაგ. გუანიდინის ქლორიდი და შარდოვანა). გლუკოზა ავლენს მკვეთრად გამოხატულ კოსმოტროპულ მოქმედებას, აძლიერებს წყალბადურ ბადეს, ასევე ჰიდროფობურ ურთიერთქმედებას. შარდოვანა კი ასუსტებს წყალბადური ბმის ბადეს და ჰიდროფობურ ურთიერთქმედებებს [171].


3. ექსპერიმენტული ნაწილი

3.1. გამოყენებული რეაქტივები, აპარატურა, შესრულების ტექნიკა

მიკროემულსიები მზადდებოდა ნატრიუმის ბის (2-ეთილჰექსილ) სულფოსუქცინატის (AOT) (ნახ. 3.1), ტეტრაეთილენგლიკოლ მონო დოდეცილის ეთერის (Brij-30) (ნახ. 3.2) საფუძველზე. ზეთის ფაზად გამოიყენებოდა ნ-ჰექსანი (Hx). დანამატებად გამოიყენებოდა წყალი, ნატრიუმის აცეტატის, კალიუმის პერქლორატის, ნატრიუმის ქლორიდის, კალიუმის ქლორიდის, ლითიუმის ქლორიდის, ნატრიუმის ფთორიდის, კალიუმის იოდიდის, ნატრიუმის ბრომიდის, შარდოვანას, გლუკოზას, გალაქტოზას, ქლორალჰიდრატის, ნატრიუმის ქოლატის წყალხსნარები. AOT (98%) და Brij-30 შეძენილია Fluka-დან (Fluka, Biochemika, Switzerland) და გამოყენებულია შემდგომი გასუფთავების გარეშე. გამჭვირვალე ერთფაზიანი ხსნარები მიიღებოდა შესაბამისი კომპონენტების შერევით და ხელით ნჯღრევის პირობებში. უი-ხილული სპექტრები გადაღებულია სტაბილურ, ერთფაზიან სისტემებზე, ოთახის ტემპერატურაზე.




ნახაზი 3.1. AOT-ის სტრუქტურული ფორმულა



ნახაზი 3.2. Brij-30-ის სტრუქტურული ფორმულა

აბსორბციის სპექტრები გადაღებულია უი-ხილული სპექტრომეტრის Optizen POP საშუალებით, გამოყენებულია 1 სმ სისქის კიუვეტები. მოლეკულურ სინჯად გამოყენებულია ორთონიტროანილინი (o-NA) (ნახ. 3.3). o-NA შეირჩა, რადგან ის მცირე ზომის ორგანული ოპტიკური სინჯია, გავლენას არ ახდენს (არ აშფოთებს) შებრუნებულ მიკროემულსიაზე და მისი სპექტრული ცვლილებებით დეტალურადაა შესწავლილი AOT-ის შებრუნებული მიკროემულსიები [146, 155, 158].



ნახაზი 3.3. ორთო-ნიტროანილინის სტრუქტურული ფორმულა

3.2. მოლეკულური სინჯის შებრუნებულ მიცელასთან შეკავშირების მუდმივების გამოსათვლელი ფორმულები

ორთო-ნიტროანილინის AOT-ის საფუძველზე მომზადებულ შებრუნებულ მიცელასთან შეკავშირების კონსტანტების გამოთვლა განვიხილოთ o-NA-ის და AOT-ის მაგალითიზე.

o-NA-ის AOT-ის პოლარულ თავურ ჯგუფებთან შეკავშირება განსაზღვრავს შთანთქმის მაქსიმუმების ცვლილებებს. განვიხილოთ ორთო-ნიტროანილინის და AOT-ის მაგალითი.



სადაც $(o-NA)_f$ და $(o-NA)_b$ შეესაბამებიან ამ ნაერთის თავისუფალ და „ბმულ“ ფორმებს. აღნიშნული წონასწორობის (შეკავშირების) მუდმივა შემდეგნაირად

ჩაიწერება (წონასწორულ კონცენტრაციათა დახმარებით):

$$K_b = \frac{[o-NA]_b}{[o-NA]_f[AOT]_0} \quad (1)$$

აქ $[AOT]_0$ წარმოადგენს ამ ნივთიერების საწყის ანალიზურ მოლურ კონცენტრაციას. ჩატარებული ექსპერიმენტის პირობებში $[O-NA]_0 \ll [AOT]_0$. ორთო-ნიტროანილინის თავისუფალ და ბმულ ფორმათა კონცენტრაციების შეფასება ხდებოდა ლამბერტ-ბერის კანონის საფუძველზე იმის გათვალისწინებით, რომ ამ ფორმების სპექტროსკოპული შთანთქმის მაქსიმუმები (ულტრაიისფერ უბანში) ერთმანეთისგან განსხვავდება. თავისუფალი ფორმისთვის $\lambda_{max}=376$ ნმ-ს, ხოლო ბმული ფორმისთვის კი $\lambda_{max}=398$ ნმ-ს. ამ ორი ტალღის სიგრძისთვის შეიძლება დაიწეროს ორი წრფივი განტოლებისაგან შედგენილი სისტემა (იმის გათვალისწინებით, რომ მოცემული ტალღის სიგრძის მქონე გამოსხივებას ერთდროულად შთანთქავს ორთო-ნიტროანილინის ორივე ფორმა [172]):

$$\begin{cases} \varepsilon_f^{376} \times [o-NA]_f + \varepsilon_b^{376} \times [o-NA]_b = A_{376} \\ \varepsilon_f^{398} \times [o-NA]_f + \varepsilon_b^{398} \times [o-NA]_b = A_{398} \end{cases} \quad (2)$$

აქ A^{376} და A^{398} წარმოადგენს საკვლევი სისტემის ოპტიკურ სიმკვრივეებს, რომლებიც ისაზღვრებოდა სპექტრომეტრულად და შეესაბამება ტალღის სიგრძეებს 376 ნმ და 398 ნმ. ε_f და ε_b შესაბამისად წარმოადგენენ ექსტინქციის დაყვანილ კოეფიციენტებს ორთო-ნიტროანილინის თავისუფალი და ბმული ფორმებისთვის. მათი განსაზღვრა ხდებოდა 376 ნმ და 398 ნმ ტალღის სიგრძეებისთვის, წინასწარი ცდების საფუძველზე, როდესაც სისტემა არ შეიცავს AOT-ის ($[AOT]_0=0$), მაშინ ორთო-ნიტროანილინი მთლიანად იმყოფება თავისუფალ მდგომარეობაში. ასეთ პირობებში (2) გამოსახულებიდან ვღებულობთ:

$$\mathcal{E}_f^{376} = \frac{A^{376}([AOT]=0)}{[o-NA]_0} ; \quad \mathcal{E}_f^{398} = \frac{A^{398}([AOT]=0)}{[O-NA]_0} \quad (3)$$

[172] მონაცემების მიხედვით, სისტემაში ჭარბი AOT-ის შემცველობის პირობებში (როდესაც $[AOT]_0=0.1M$) ორთო-ნიტროანილინი თითქმის მთლიანად იმყოფება ბმულ მდგომარეობაში. ასეთი პირობებისთვის გვექნება:

$$\mathcal{E}_b^{376} = \frac{A^{376}([AOT]=0,1M)}{[o-NA]_0}; \quad \mathcal{E}_b^{398} = \frac{A^{398}([AOT]=0,1M)}{[o-NA]_0} \quad (4)$$

ცდების ძირითადი სერია ტარდებოდა AOT-ის მზარდი კონცენტრაციების პირობებში 0.0 M-დან 0.1M-მდე, ტალღის სიგრძეებისათვის 376 ნმ და 398 ნმ იზომებოდა სისტემის შესაბამისი ოპტიკური სიმკვრივეები A^{376} და A^{398} . ორთო-ნიტროანილინის თავისუფალი და ბმული ფორმების კონცენტრაციათა გამოთვლა ხორციელდებოდა (2) სისტემის ამოხსნის გზით; ამ მიზნით გამოიყენებოდა „მსაზღვრელთა“ (ანუ „დეტერმინანტების“) მეთოდი: [173].

$$[o-NA]_f = \frac{\Delta_f}{\Delta_0}; \quad [o-NA]_b = \frac{\Delta_b}{\Delta_0} \quad (5)$$

აქ Δ_0 წარმოადგენს ძირითად მსაზღვრელს (2) სისტემისათვის:

$$\Delta_0 = \begin{vmatrix} \mathcal{E}_f^{376} & \mathcal{E}_b^{376} \\ \mathcal{E}_f^{398} & \mathcal{E}_b^{398} \end{vmatrix} = \mathcal{E}_f^{376} \times \mathcal{E}_b^{398} - \mathcal{E}_f^{398} \times \mathcal{E}_b^{376} \quad (6)$$

Δ_f და Δ_b წარმოადგენენ დამხმარე მსაზღვრელებს:

